844/4 N 11915
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

VII-IX

(5)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 118-119 (921)
პარასკევი, 1 ივლისი, 1994 წელი
ფასი 15000 კუპონი

ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნებისათვის

როგორც აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრმა ზუგდიდიდან საქინფორმს აცნობა, 29 ივნისს, ზუგდიდში ჩავიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია და საგანგებო ვითარების დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე ჯაბა იოსელიანი.

ზუგდიდის გამგეობაში გამართულ თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი თამაზ ნადარეიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს წევრები, რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების წარმომადგენლები, სამეგრელოს რეგიონის გამგებლები. მოისმინეს ინფორმაციები გალის რაიონში ლტოლვილთა ორგანიზებულ დაბრუნებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ. გაკეთდა შესაბამისი დასკვნები და მონიშნა კონკრეტული პრობლემები. შემდეგ გაიმართა შეხვედრა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სარდლობის წარმომადგენლებთან.

განიხილეს პრინციპული საკითხები. ითქვა, რომ მდინარე ენგურის საავტომობილო ხიდი პრაქტიკულად აღდგენილია. ხიდის ორივე მხარეს მოეწყო საკონტროლო-გამშვები პუნქტები. ერთი სიტყვით, ეს უმნიშვნელოვანესი პროცესი სამშვიდობო ძალებით მთლიანად კონტროლდება. სერიოზული მსჯელობის საგანი იყო ენგურჰესი, მისი უსაფრთხოებისა და ფუნქციონირების საკითხი. ამჟამად ჰესსა და სხვა მასთან დაკავშირებულ ობიექტებს იცავენ იქ განლაგებული სამშვიდობო ძალების შენაერთები. [illegible], აფხაზურ მხარეს უკვე არ გააჩნია ის ფორმალური მიზეზი, რის გამოც ამ რამდენიმე ხნის წინათ მათ შეზღუდეს ელექტროენერგიის მოწოდება. გამოითქვა საერთო აზრი იმის თაობაზე, რომ აფხაზური მხრიდან დაწესებული სანქციები აუცილებლად უნდა მოიხსნას. მოსალოდნელია, რომ უმოკლეს ვადაში ეს [illegible].

რაც შეეხება უსაფრთხოების [illegible] უზრუნველყოფის საკითხს, როგორც სამხედროებმა თქვეს, აქ უკვე განლაგებული სამეთვალყურეო და საკონტროლო გამშვები პუნქტების დისლოკაცია და რაოდენობა იძლევა უსაფრთხოების გარანტიას.

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ გამოთქვა ზოგიერთი კონკრეტული შენიშვნა, კერძოდ: ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სამეთვალყურეო პუნქტების შემადგენლობაში შესაბამისი შეთანხმებით გათვალისწინებული ჩვენი მხარის მონაწილეობა. ჯერჯერობით, აფხაზური მხარის წინააღმდეგობის გამო, სოხუმში სამშვიდობო ძალების ცენტრალური შტაბის მუშაობაში ვერ მონაწილეობს ქართული მხარის წარმომადგენელი. სამშვიდობო ძალების სარდლობამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ინფორმაცია, რომელიც ამას წინათ აფხაზური და სხვა წყაროების მეშვეობით გავრცელდა, თითქოს ბოლო დღეებში ზუგდიდიდან გალში შევიდა 10 ათასამდე ადამიანი, აბსოლუტური სიცრუეა.

შეკითხვაზე, გალის რაიონში სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში ხომ არ იმყოფებიან გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების რაიმე ქვედანაყოფები, ასევე კატეგორიულად განმარტეს, რომ გალის რაიონში ეს მთლიანად გამორიცხულია.

ცნობილი გახდა, რომ ქართული მოსახლეობის დაბრუნების წინ გალში, რაიონის სოფლებში აფხაზური მხრიდან მოხდა ბანდიტური თავდასხმის, ქურდობისა და საქონლის წართმევის ფაქტები, რაზეც აგრეთვე, ქართულმა მხარემ გაამახვილა ყურადღება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ თათბირი გამართა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით. სხვა საკითხებთან ერთად გადაწყდა სამეგრელოს რეგიონებში — ზუგდიდში, ფოთში, სენაკში, წალენჯიხასა და სხვაგან ლტოლვილთა აღრიცხვასთან დაკავშირებით შეიქმნას საინიციატივო ჯგუფები ჰუმანური დახმარების განაწილებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად.

გალის რაიონის გამგეობაში კი უკვე დიდი ხანია მუშაობენ ანალოგიური ჯგუფები, შესრულებულია დიდი სამუშაო, ასეთი მოსამზადებელი საქმიანობა აუცილებელია გალში ორგანიზებული დაბრუნებისთვის.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის აზრით

მოსკოვი, 29 ივნისი. (იტარ-ტას-საქინფორმი). „რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო სრულმასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაცია ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის დაძლევისათვის. იგი მიმდინარეობს ზუსტად პროგრამითა და საკმაო წარმატებით", — განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა პაველ გრაჩოვმა.

როგორც მან თქვა, კონფლიქტის ზონაში ახლა თავმოყრილია მთელი ძალები და საშუალებები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამშვიდობო აქციაში. კერძოდ, აქ ჩამოვიდა დაახლოებით 2300 რუსი სამხედრო მოსამსახურე.

პაველ გრაჩოვის შეფასებით, რეგიონში მოქმედებს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი მეთვალყურე, რომლებიც კარგ სამუშაოს ასრულებენ". მან გამოთქვა სურვილი, რომ სამშვიდობო ოპერაციაში კონფლიქტის მონაწილე მხარეთა დაშორიშორებისა და აფხაზეთში მშვიდობის მხარდაჭერისათვის მონაწილეობდნენ სხვა ქვეყნებიც. „ჩვენ მზადა ვართ, — თქვა მინისტრმა, — ვიმოქმედოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშით და სხვისი სარდლობითაც კი". მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ „უახლოეს ხანებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების მონაწილეობას არ უნდა ველოდოთ". ამასთან, მინისტრმა დაიმოწმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს გალის აზრი, რომელიც მან პირადი შეხვედრის დროს გამოთქვა.

პაველ გრაჩოვის აზრით, ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების ქვედანაყოფების მონაწილეობის საკითხი გადაწყდება სანქტ-პეტერბურგში თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე. მან ეჭვი გამოთქვა, რომ რომელიმე სახელმწიფო გამოყოფს დიდ სამხედრო კონტინგენტს, ვიდრე რუსეთი. როგორც მან თქვა, საქმე შეიძლება შეეხოს მცირე სამშვიდობო ქვედანაყოფს. თანამეგობრობის სახელმწიფოებს, რომლებშიც ეროვნული არმიები ახლა იქმნება, შეუძლიათ, რუსეთის მინისტრის აზრით, დააფინანსონ სამშვიდობო ოპერაცია აფხაზეთში.

შეეხო რა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალთან გენერალ ჯორჯ ჯოულვანთან შეხვედრას, პაველ გრაჩოვმა თანამშრომლობის განხილვის ერთ-ერთ ძირითად საკითხად დაასახელა მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციათა განხორციელება. მან აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელდება სამშვიდობო ოპერაციების ერთობლივი დაგეგმვა და მოწყობა, მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საერთო მოთხოვნათა შემუშავება, ჯარის შემადგენლობის მომზადება.

მოლაპარაკება ჟენევიდან სოჭშია გადატანილი

კაირო, 30 ივნისი. (იტარ-ტას-საქინფორმი). ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკება ჟენევიდან სოჭშია გადატანილი, განაცხადა აქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯო სილსმა.

„სამშვიდობო მოლაპარაკება აფხაზეთის შესახებ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის თავმჯდომარეობით, რომელიც თავდაპირველად დანიშნული იყო გამართულიყო 18 ივნისს ჟენევაში, გადადებულია ერთი კვირით და გაიმართება არა ჟენევაში, არამედ სოჭში, 7-8 ივლისს", — თქვა სილსმა.

ერთობლივი განცხადება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელდა ხმები, თითქოს აფხაზეთიდან ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირები მასობრივად თვითნებურად შედიან გალის რაიონში, რაც აფხაზურმა მხარემ შეაფასა როგორც ოთხმხრივი შეთანხმების დარღვევა.

ორივე კომიტეტი ოფიციალურად აცხადებს, რომ ეს არის მო[illegible]ილთა დაბრუნების დაწყებული პროცესი.

საქართველოს მხარე ერთგული რჩება მოლაპარაკებების და შეთანხმებებისა, რომელთა მიხედვითაც უნდა შეიქმნას ლტოლვილთა დაბრუნების ადგილებზე უსაფრთხოების სრული გარანტიები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი

და ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა
საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრა
თბილისი. 1994 წლის 30 ივნისი
BLACK SEA ECONOMIC COOPERATION
FOURTH MEETING OF THE MINISTERS OF FOREIGN AFFAIRS
TBILISI, JUNE 30, 1994
CONF. SECR.
CHAIRMAN
DIRECTOR

სურათზე: გუშინ სასტუმრო „მეტეხში".

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსი ცხოვრობს და ვითარდება

საგარეო საქმეთა მინისტრები თბილისში შეიკრიბნენ

30 ივნისს სასტუმრო „მეტეხში" გაიხსნა შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა — ალბანეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, თურქეთის, მოლდოვის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, სომხეთის, უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრა. მეთვალყურეთა ხაზით მასში მონაწილეობენ ეგვიპტის, ისრაელის, პოლონეთის, სლოვაკეთის, ტუნისის, აგრეთვე იმ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ მეთვალყურის სტატუსი შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭო, შავი ზღვის საერთაშორისო კლუბი), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნო. მას წინ უძღოდა უმაღლესი თანამდებობის პირთა შეხვედრები, რომელთა დროს მომზადდა დოკუმენტები შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ზოგიერთ ასპექტზე.

რეგიონის საზოგადოებრივი და საქმიანი წრეების აზრით, მინისტრთა შეხვედრა, რომელიც დაემთხვა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მეორე წლისთავს, მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ბანკის შექმნის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ენერგეტიკისა და ტურიზმის დარგში რეგიონული თანამშრომლობის საკითხები. ამას გარდა, განიხილეს ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი. მაგალითად, მონაწილე ქვეყნების ანაბრების ოდენობა მუდმივი საერთაშორისო სამდივნოს ბიუჯეტში და სხვ. ამას გარდა, თბილისში იხილავენ შავი ზღვის აუზის ეკონომიკური კავშირის სიმბოლიკის შესახებ საერთაშორისო კონკურსის შედეგებს.

თბილისში შეხვედრა გახსნა შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ალექსანდრე ჩიქვაიძემ.** მან სიტყვა მისცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

მიმართა რა დელეგაციათა ხელმძღვანელებსა და წევრებს, ფორუმის მეთვალყურეებს, სტუმრებს, ბატონმა **ედუარდ შევარდნაძემ** თქვა:

ორ წელიწადზე მეტი გავიდა ყველა ჩვენგანისათვის ღირსსახსოვარი 1992 წლის 25 ივნისის შემდეგ, როცა სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაეარსებინათ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. ვფიქრობ, განვლილი ორი წელიწადი საშუალებას გვაძლევს, დავადასტუროთ, რომ ის გადაწყვეტილებანი სწორი იყო და დღეს ჩვენი რეგიონი ძნელად წარმოსადგენია მრავალმხრივი თანამშრომლობის უიმმექანიზმებოდ, რომლებიც ასე ბუნებრივად შეერწყა ჩვენს ცხოვრებას.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიო მეურნეობის დომინანტია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაცია. მსოფლიო ექსპორტის მოცულობის თანამიმდევრული ზრდა ადასტურებს ამ პროცესის ჩამოყალიბებას გლობალურ ობიექტურ კანონზომიერებად. ამ პროცესების ასახვაა ის, რომ მთელ მსოფლიოში, მის სხვადასხვა კუთხეში იქმნება რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებები. თითოეული ეს გაერთიანება თავისებურია. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც უპირველეს ყოვლისა თვით რეგიონის უნიკალურობით განისაზღვრება.

შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესები, რომლებიც გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ასახვას წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, მსოფლიო რუკაზე მისი მდებარეობა, ჩვენს რეგიონს პლანეტის მასშტაბით არცთუ უმნიშვნელო როლს ანიჭებს, რაც, დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გაიზრდება.

ჩვენი ორგანიზაციის შექმნის დღიდან გასულმა ორმა წელიწადმა დაადასტურა იმ პრინციპების სისწორე, რომლებიც მას საფუძვლად დაედო. ახლა ძნელია წარმოვიდგინოთ, რა ხასიათისა იქნებოდა ჩვენი ალიანსი, მკაცრი, ასე ვთქვათ, მხოლოდ გეოგრაფიული კრიტერიუმებით რომ გვეხელმძღვანელა. მონაწილეთა უკვე ჩამოყალიბებული შემადგენლობის უნიკალურობა განაპირობებს ჩვენი ორგანიზაციის განვითარების დამატებით რეზერვებს: აქ გაერთიანებული არიან გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ნატოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრები, განვითარებადი ქვეყნები, ევროპის, აზიის ქვეყნები, მეთვალყურენი ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან. ეს გარემოება, განსაკუთრებით კი თანამშრომლობაში „მეორე ეშელონის" წევრი ქვეყნების მონაწილეობა, ამდიდრებს ჩვენს ალიანსს, გაცილებით უფრო საინტერესოს ხდის მის შინაარსს.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ცალკეულ საკითხებში მონაწილე ქვეყნების პოზიციების ზოგიერთი განსხვავების მიუხედავად, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, იგი არსებობს და ვითარდება, აერთიანებს რა იმ ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობის გამოცდილებას, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც პოლიტიკური წონით, ისე ეკონომიკური განვითარების დონით, კულტურული ტრადიციებით და ა. შ.

უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია არათუ ეწინააღმდეგება სხვა რეგიონულ ინიციატივებს, არამედ მათთან თანამშრომლობის გარკვეულ პერსპექტივებსაც სახავს. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ახალშექმნილი ეკონომიკური კავშირი.

ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები დარღვეული ეკონომიკური კავშირების ახალ, საბაზრო, ჯანსაღ ინტეგრაციულ საფუძველზე აღდგენას და როგორც შედეგს — მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან კოლექტიურ გამოსვლას უკავშირებენ.

განვლილი ორი წელიწადი მძიმე გამოცდა იყო საქართველოსათვის. ქვეყანა, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ფეხზე დადგომაც ვერ მოასწრო, სისხლისმღვრელი ომებისა და ეკონომიკური ნგრევის ქარცეცხლში მოექცა. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხე სავსებით რეალური გახდა — ქვეყანა დაშლის პირას აღმოჩნდა. თუმცა, მსოფლიო საზოგადოებრიობის, ჩვენი ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, მეზობელი სახელმწიფოების მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით ნელ-ნელა გამოვდივართ მდგომარეობიდან, უფრო მეტიც, პირველ გაბედულ ნაბიჯებს ვდგამთ შინაპოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისა და სრულმასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გზაზე.

ჩვენი ქვეყნების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებთან საერთაშორისო თანამშრომლობას.

ჩვენ ინტერესით ვადევნებთ თვალს, მაგალითად, კასპიისპირეთის ქვეყნების ალიანსის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას, და ვაპირებთ ვთხოვოთ მის დამფუძნებლებს, რომელთა ნაწილიც ამ დარბაზში იმყოფება, მოგვანიჭოს ამ ეტაპზე მეთვალყურის სტატუსი.

საინტერესოა სხვა ქვეყნების ზოგიერთი ინიციატივაც, რომელთა რეალიზაციის შედეგად შეიძლება შეიქმნას ინტეგრაციულ გაერთიანებათა სისტემა ხმელთაშუა ზღვა-შავი ზღვა-კასპიის ზღვის ღერძით, თითოეული თავისი სპეციფიკით, მაგრამ საერთო მიზნით — გააადვილოს კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების არა მარტო შიდარეგიონული, არამედ რეგიონთაშორისი გაცვლაც.

ამ პროცესის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება შეიძლება იყოს ევრაზიის დერეფნის იდეის ეტაპობრივი რეალიზაცია, რომელიც უკვე გასცდა ორმხრივი შეთანხმების ფარგლებს. როგორც ცნობილია, მას მხარი დაუჭირა 1993 წლის 7 მაისის ბრიუსელის დეკლარაციამ, რომელსაც დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად ხელი მოაწერა ევროპის გაერთიანებათა კომისიამ. მიზანშეწონილი იქნებოდა გააქტიურებულიყო მუშაობა ევრაზიის დერეფნის ჩამოყალიბების მიზნით შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებშიც.

ხმელთაშუა ზღვა-შავი ზღვა-კასპიის ზღვის ღერძი სარეგიონთაშორისო ინტეგრაციული კავშირების შემდგომი განვითარება და განმტკიცება პერსპექტივაში შეიძლება იმის კარგი საფუძველი გახდეს, რომ გაღრმავდეს სარეგიონთაშორისო ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ყველაზე მკაცრ კრიტერიუმებს, მოხდეს მათი ჰარმონიზაცია ევროპის ინტეგრაციულ ტენდენციებთან და ყველა გეოგრაფიული მიმართულებით განვითარების პერსპექტივასთან.

ზემოთ აღვნიშნე, რომ შავი ზღვის ქვეყნების ალიანსი არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. რეგიონული გაერთიანებანი, სხვადასხვა სახის წარმონაქმნები დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

აქედან გამომდინარე, რეგიონულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას დღეს პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სწორი იქნებოდა, თუ ალიანსის სტრუქტურებში გაჩნდებოდა სხვა რეგიონული ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლისა და მათთან ურთიერთობის დამყარების ცენტრი. ბედნიერი ვიქნებოდით, თუ ასეთი ცენტრი საქართველოში დაიდებდა ბინას.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობა თანდათანობით მკაფიო ორგანიზაციულ სახეს იძენს, დაიწყო მუშაობა მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სამდივნომ, რომელსაც, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოვახსენო ამ ფორუმის მომზადებაში მნიშვნელოვანი და კვალიფიციური დახმარებისათვის. ეფექტიანად მუშაობენ ექსპერტთა ჯგუფები. სულ უფრო ავტორიტეტული ორგანო ხდება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა და სხვა. ორგანიზაციის მუშაობა სულ უფრო დიდ რეზონანსს იძენს მსოფლიოში. სერიოზული ინტერესით ეკიდებიან მას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. ასეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში ყალიბდებიან ახალი პარტნიორები, რომლებიც თავიანთ ადგილს პოულობენ შრომის საერთაშორისო განაწილებაში. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენს ალიანსს მეტ დახმარებას გაუწევენ ორგანიზაციები, რომლებმაც უკვე შეიძინეს მრავალმხრივი ინტეგრაციული თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება.

ამასთან, არ შეიძლება ისიც არ ვთქვა, რომ ჩვენმა საქმიანობამ მეტი დინამიზმი, მიზანსწრაფული აქტიურობა და მასშტაბურობა შეიძინოს.

ყოველი ორგანიზაციის ავტორიტეტი და სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება არა სხდომებისა და რეზოლუციების რაოდენობით, არამედ ცოცხალი, კონკრეტული შედეგებით, თუნდაც ისეთით, როგორიც არის ბანკის დაარსება ჩვენს ალიანსში ან რეალური, საარსებოდ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისათვის ხელშეწყობა ან რეალური საუბრის დაწყება, ვთქვათ, შავი ზღვის უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

მართალია არ ვივიწყებ იმას, რომ ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი არსი ეკონომიკური თანამშრომლობაა, არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაპყრო სხვა ხასიათის პრობლემებს, რომლებსაც შეუძლიათ საერთოდ მოშალონ ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პროცესები რეგიონში. ვფიქრობ, შეუძლებელია რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები განვიხილოთ საერთო პოლიტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრობლემების გაუთვალისწინებლად. რეალობისაგან მოწყვეტამ, ყურადღების გამახვილებამ საკითხთა მხოლოდ ერთი ნაწილის გადაწყვეტაზე, არ შეიძლება მომავალში უარყოფითი შედეგები არ გამოიწვიოს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მთლიანად რეგიონისთვისაც. რეალობა კი ის არის, რომ აგრესიული სეპარატიზმის, იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერე-

(დასასრული მე-2 გვ.).

შეხვედრები სახელმწიფოს მეთაურთან

29 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრაში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე თბილისში მოავლინა ვიცე-პრემიერი ალი თახმაზოვი. სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრისას, აზერბაიჯანელმა სტუმარმა ისაუბრა მის რესპუბლიკაში შექმნილ სადღეისო ვითარებაზე. კმაყოფილებით აღნიშნა, რომ თვენახევარია, შეწყდა ომი. ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაში აქტიურად მონაწილეობენ რუსეთისა და ევროპის უშიშროებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საბჭოს გაერთიანებული ძალები. კონფლიქტის ზონაში მშვიდობის აღდგენას ყოველმხრივ მიესალმება და მხარს უჭერს პრეზიდენ[illegible], რომლის რეიტინგი სულ უფრო იზრდება ქვეყანაში, თუმცა, მოსაგვარებელი საკითხები აზერბაიჯანში ჯერაც მრავლად არის. მილიონ 200 ათასი ლტოლვილი, მზარდი ინფლაცია, გასაჭირს უქმნის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. მაგრამ აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერმა ისიც თქვა, რომ მის ქვეყანას საკმაოდ დიდი მატერიალური რესურსები აქვს, ენერგომატარებლებიდან დაწყებული ბამბით დამთავრებული. აქედან გამომდინარე, გაოცებით ჰკითხა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — თქვენს რესპუბლიკას სტრატეგიული რესურსები თითქმის არა აქვს და ამ პირობებში ქვეყნის გაძღოლას როგორ ახერხებთო?!

სახელმწიფოს მეთაურმა თავის მხრივ სტუმარს გააცნო საქართველოში მიმდინარე პროცესები, აღნიშნა, რომ ბოლო დროს გამოიკვეთა სტაბილიზაციის ნიშნები. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია გაიმართოს აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შეხვედრა, აგრეთვე ოთხი ქვეყნის — აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის ლიდერების შეხვედრა უახლოეს მომავალში.

• • •

29 ივნისს სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ მიიღო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაჰან ფაფაზიანი. შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსს ჩვენი ქვეყნებისათვის.

ვაჰან ფაფაზიანმა სახელმწიფოს მეთაურს გააცნო სომხეთში შექმნილი ვითარება, თქვა, რომ ხალხს დაღალა ომმა.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძეს გადასცა ბატონ ლევონ ტერ-პეტროსიანის მოკითხვა და უმაღლეს დონეზე შეხვედრის სურვილი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველო დიდი გულისყურით ადევნებს თვალს სომეხი ხალხის პრობლემებს. მადლობელია, რომ სომხეთი გაგებით ეკიდება საქართველოში შექმნილ ვითარებას. აღინიშნა, რომ სომხური თეატრის საქმე მალე გაიხსნება, რათა ეს ინციდენტი არ გამოიყენონ იმათ, ვისაც მეზობლებს შორის შუღლის ჩამოგდება სურს.

სახელმწიფოს მეთაურმა გულთბილად გაიხსენა სომხური თეატრის ამასწინანდელი გასტროლები და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და სომხეთის კულტურული და ეკონომიკური კავშირურთიერთობა უახლოეს მომავალში მთლიანად აღორძინდება.

• • •

29 ივნისს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის ხელმძღვანელობით.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს. მან აღნიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკის ინიციატივით შექმნილმა შავი ზღვის ალიანსმა უკვე დაამტკიცა, რომ აუცილებელი იყო მისი ჩამოყალიბება. ახლა სასურველია გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები. ამ მხრივ, თბილისში მიმდინარე ღონისძიება წინგადადგმული ნაბიჯია. სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა მოახსენა თურქეთის წარმომადგენლებს შეხვედრის ორგანიზაციაში გაწეული დახმარებისათვის, აგრეთვე იმ ჰუმანური შემოწირულობებისათვის, რომლებსაც მეზობელი რესპუბლიკა, საკუთარი პრობლემების მიუხედავად, სისტემატურად გვაწვდის. საუბრისას შეეხნენ აფხაზეთის საკითხს. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იმედი გამოთქვა, რომ სამშვიდობო ძალების შემოსვლა ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებას. სახელმწიფოს მეთაურმა ისაუბრა აგრეთვე ეკონომიკურ საკითხებზე.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ კავკასიის რეგიონში მშვიდობის აღდგენით დაინტერესებული უნდა იყოს ყველა მხარე, მთელი მსოფლიო. დღევანდელ ეტაპზე, თქვა ბატონმა ჩეთინმა, რუსეთის მონაწილეობა მიმდინარე პროცესში ფასდაუდებელია. მან დასძინა, რომ სტაბილიზაციის მიღწევისთანავე საქართველოში მეტი ინტენსიურობით შემოვა უცხოური ინვესტიციები.

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

აფხაზური მხარე შეთანხმებებს არღვევს

როგორც ცნობილია, გუშინ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, ბატონები ჯაბა იოსელიანი, გივი ლომინაძე ზუგდიდში შეხვდნენ სამშვიდობო ძალების სამხრეთის ზონის ხელმძღვანელობას.

საუბრისას ქართულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზური მხარე არღვევს ოთხმხრივ შეთანხმებას და ქართველ მეთვალყურეებს საშუალებას არ აძლევს აფხაზების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე შევიდნენ.

იმის მიუხედავად, რომ გალისა და ზუგდიდის რაიონებში განლაგდნენ სამშვიდობო ძალები, აფხაზმა ბოევიკებმა გალის რაიონში ამ დღეებში დაწვეს ქართველ მოქალაქეთა სახლები.

თამარ მოლაშვილი.

ბოსტნეული ქალაქელებისთვის

ორი ათას ტონამდე კომბოსტო დაგროვდა გარდაბნისა და მარნეულის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაგრამ დიზელის საწვავის უქონლობის გამო ქალაქის მაღაზიებში მისი მიტანა ყოვნდება. ამ და ქალაქის მოსახლეობის ბოსტნეულითა და ხილით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებზე გაიმართა სჯა-ბაასი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი მეურნეობებიდან სავაჭრო ქსელში შესული ბოსტნეული და ხილი უნდა იყიდებოდეს საბაზრო ფასებზე 80 პროცენტით ნაკლებ ფასებში.

„იბერიის" ლენტიდან

აფხაზეთის სვანეთი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 30 ივნისს, 6.00 საათზე, აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა კვლავ უხეშად დაარღვიეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. მათ ჰაუბიცებისა და „გრადის" ტიპის დანადგარების ცეცხლი გაუხსნეს კოდორის ხეობის დამცველ ქართველ მებრძოლთა პოზიციებს, რომლებიც იძულებული გახდნენ გაეხსნათ საპასუხო ცეცხლი და აქტიურ მოგერიებაზე გადასულიყვნენ.

30 ივნისის 10.00 საათისთვის სროლა კვლავ გრძელდებოდა.

ზუგდიდი. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები, რომლებიც სამშვიდობო მისიას ასრულებენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, გასული დღე-ღამის განმავლობაში აწესრიგებდნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილებს, დაამყარეს საქმიანი კონტაქტები ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობასთან. ამავე დროს მათ დააკავეს შეიარაღებულ პირთა ჯგუფი, რომელსაც ჩამოართვეს ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი.

თბილისი. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის ჯგუფის შტაბის პრესცენტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ სოხუმში გამართულ მიტინგზე, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამშვიდობო ძალებს ბრალი დასდო, თითქოს ისინი უკონტროლოდ უშვებენ ლტოლვილებს გალის რაიონის ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის პრესცენტრი აცხადებს, რომ ზემოთაღნიშნული ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ განაცხადა, რომ საშუალო სკოლის ბიუჯეტი 18 მუხლისაგან შედგება. ამჟამად მათგან ფინანსდება მხოლოდ 8. თითქმის შეუძლებელია დაზიანებული სასკოლო შენობების აღდგენა-გარემონტება მომავალი სასწავლო წლისათვის.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსი ცხოვრობს და ვითარდება

(დასასრული)

ბების კონტრაბანდის პრობლემები სხვადასხვა სიმწვავით დგას პრაქტიკულად რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფოს წინაშე.

ამავე დროს მხარეთა მტკიცე პოლიტიკურმა ნებამ, რომლის მიზანია რეგიონში საერთაშორისო სამართლის ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრიორიტეტის უთუო დანერგვა, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრების ურღვევობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა, არ შეიძლება დადებითი გავლენა არ მოახდინოს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით დიდად ვაფასებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური უშიშროების საბჭოს განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დაცვის ოპერაციის განხორციელების შესახებ და დეკლარაციას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების სუვერენიტეტის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს სახელმწიფოთა მეთაურებმა წლეულს, აპრილში მოსკოვში გამართული უმაღლესი დონის თათბირზე.

ამგვარი გადაწყვეტილებები უდავოდ ხელს შეუწყობენ რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის დინამიზაციასაც.

ეს დოკუმენტები, თანამეგობრობის სახელმწიფოთა გადაწყვეტილება დაეხმარონ საქართველოს აფხაზეთში სიტუაციის პოლიტიკური მოწესრიგების ცდებში, კონფლიქტის რაიონში რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების შეყვანა გაეროს მეთვალყურეთა კონტინგენტის მონაწილეობით ცხადყოფს, რომ კეთილი ნების პირობებში შეიძლება გამონახოს ყველაზე რთული პრობლემების გადაჭრის არაორდინარული გზები.

აფხაზეთის კონფლიქტის ასეთი გზით მოგვარება, რაც გულისხმობს საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების ძალისხმევის შეხამებას ცალკე აღებული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალების ფაქტორთან, გაბედული, მაგრამ ცხოვრებით ნაკარნახევი ექსპერიმენტია. რა თქმა უნდა, აქ უდიდესია უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის — რუსეთის პასუხისმგებლობა, მაგრამ ასეთი პასუხისმგებლობის კისრება ისტორიული აუცილებლობით არის განპირობებული და ეს მიხია, მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, დიდი წვლილი იქნება კონფლიქტების მოგვარების მსოფლიო პრაქტიკაში.

სეპარატისტებთან სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფალთა არასანქცირებულ თანამშრომლობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, იარაღის უკანონო ვაჭრობამ, ნარკობიზნესმა, შეიძლება გარკვეული გართულებები გამოიწვიოს მომავალშიც და ეს გართულებები სწორედ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, საბოლოო ანგარიშით, მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მოახდენს გავლენას. ასეთი სიტუაციების თავიდან აცილებლად შეგვეძლო გვეფიქრა ამ პრობლემებზე მომუშავე ექსპერტთა სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ, ვთქვათ, ეკონომიკური უსაფრთხოების ჯგუფი. ასეთი ჯგუფი თავის მოღვაწეობას ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზით დაიწყებს, შემდეგში კი თვით ცხოვრება გვიკარნახებს მისი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. მის პირველ შეხვედრას ჩვენი ქვეყანა სიამოვნებით უმასპინძლებდა.

მიზანშეწონილი იქნება სამომავლოდ არ გადავდოთ და განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ რეგიონის, კერძოდ, შავი ზღვის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებსაც. საქართველოში არის ზღვის გოგირდწყალბადის ფენის პრობლემის შესწავლის, ნაპირების აღდგენის გარკვეული გამოცდილება. ვიცით, რომ ჩვენი ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი ქვეყანა მზად არის ითანამშრომლოს შავი ზღვის გადარჩენისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში. ამრიგად, უკვე არცთუ ცოტა რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაცილებით მეტია სამუშაო და გასაკეთებელი. ზოგიერთი სკეპტიკურად აფასებს ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის პირველ ორ წელიწადს. მე არ მივაკუთვნებ ჩემს თავს მათ რიცხვს. საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამს ვიკისრეთ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის თავმჯდომარის პასუხსაგები ტვირთი, რადგან ნათლად ვხედავთ ჩვენი ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივებს, კარგად ვგრძნობთ მის შესაძლებლობებსა და პოტენციალს. ორი წელიწადი არც ისე დიდი დროა. მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ, თანაც ჩვენი წინსვლა შეუქცევადია. ეს ოპტიმიზმს საფუძველს გვაძლევს. რამდენადაც უფრო ინტენსიურად და დინამიკურად განვითარდება შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც უფრო ეფექტიანად გამოვიყენებთ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებს, წიაღისეულს, წყალს, უნიკალურ კლიმატს, გზებსა და მაგისტრალებს, კომუნიკაციებს, რეგიონში მით უფრო მეტი იქნება მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიები, ესე იგი, მით უფრო ჩქარა მივაღწევთ სანუკვარ მიზანს — მოსახლეობის კეთილდღეობის საყოველთაო გაუმჯობესებას.

დასასრულს, ბატონი ედუარდ შევარდნაძე კიდევ ერთხელ მიესალმა ფორუმის მონაწილეებს, დამოუკიდებელ საქართველოს, — თქვა მან, — პირველად ხვდა პატივი უმასპინძლოს ესოდენ მაღალ სტუმრებს, იმედი მაქვს — არა უკანასკნელად. გამოთქვა რწმენა, რომ ყველა პრობლემას გადავჭრით იმ შემართებითა და საქმის ცოდნით, რომელიც სულ უფრო დამახასიათებელი ხდება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისათვის. სახელმწიფოს მეთაურმა წარმატება უსურვა ფორუმის მონაწილეებს რთულ და საინტერესო მუშაობაში, ბედნიერება და აყვავება — მათი ქვეყნების ხალხებს.

შეხვედრის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს დედაქალაქში აკრედიტებულ დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების მეთაურები.

ოფიციალური გახსნის შემდეგ გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა თბილისის ფორუმის მონაწილე დელეგაციათა ხელმძღვანელებთან.

შემდეგ გაიმართა შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრის პლენარული სხდომები და დღის წესრიგის დამტკიცებისა და მონაწილეთა განცხადებების შემდეგ განიხილეს შეხვედრის რეზოლუციების, გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციათა პროექტები, ორგანიზაციული საკითხები.

• • •

დღის მეორე ნახევარში შეხვედრის მონაწილეებს შეუერთდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი.

შედგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის საუბარი ბატონ ანდრია კოზირევთან.

დასასრულ გაიმართა ოფიციალური მიღება, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ედუარდ შევარდნაძემ და ანდრია კოზირევმა.

ამ გამოსვლებს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

შეხვედრები სახელმწიფოს მეთაურთან

(დასასრული)

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კაროლოს პაპულიასთან საუბრისას შეეხნენ ორი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივებს. სტუმარმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს კარგი პირობები აქვთ შექმნილი, ადგილობრივ სკოლებში შეისწავლება ბერძნული ენა. ითქვა, რომ ქართველ და ბერძენ ხალხებს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდათ ძმური, მეგობრული ურთიერთობა, საბერძნეთში სულ უფრო მეტი ბიზნესმენი იჩენს დაინტერესებას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, რასაც ხელს უწყობს აქ სტაბილიზაციის დამკვიდრება.

შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, საქართველო-საბერძნეთის კონტაქტების მდიდარი პოტენციალი ბოლომდე არ არის გამოყენებული. ამიტომაც საჭიროა სახელშეკრულებო ბაზისის შექმნა, საელჩოების გახსნისა და ორივე მხარის ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადება.

ალბანეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა სელიმ ბალორტაიამ ისაუბრა მის ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე. დაბალი ხელფასები, უმუშევრობის მაღალი დონე მტკივნეულ საკითხად რჩება. თუმცა, მოხერხდა ინფლაციის შეჩერება. აღინიშნა, რომ ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის პრობლემები საქართველოსაც მრავლად დაუგროვდა. ამიტომაც, ორივე მხარემ ერთხმად გამოთქვა თანამშრომლობისა და მჭიდრო კონტაქტების სურვილი. სასურველია გახშირდეს დელეგაციების გაცვლა, ალბანეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის აღდგენისათვის ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას ზრუნავდა. ამჟამად, ხელისშემშლელი ფაქტორები ნაკლებად არის, რაც ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მჭიდრო და ფართო თანამშრომლობას.

• • •

მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრ მიხაი პოპოვთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია მჭიდრო თანამშრომლობით. მთავარია გაფორმდეს ოფიციალური, დიპლომატიური კავშირები. მოლდოვასა და საქართველოს რესპუბლიკებს ბევრი საერთო აქვთ. იგულისხმება არა მხოლოდ ბუნებრივი პირობები, არამედ ხალხების სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. აღსანიშნავია, რომ ორივე რესპუბლიკაში შეიმჩნევა სიტუაციის სტაბილიზაციის ნიშნები, ისახება კონფლიქტების მოგვარების გზები. რაც უფრო მალე გადაიჭრება საშინაო საკითხები, ერთობლივი საწარმოების შექმნის, ეკონომიკური კონტაქტების დამყარების მეტი საშუალება გაჩნდება. შეხვედრის ბოლოს ითქვა, რომ აუცილებელია უახლოეს მომავალში გაიმართოს ორი რესპუბლიკის ლიდერთა უმაღლესი დონის შეხვედრა.

• • •

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ ალექსანდრე მაკარენკოსთან შეხვედრისას ისაუბრეს ორი ქვეყნის ურთიერთობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

გამოითქვა ერთობლივი კომერციული სტრუქტურების შექმნის სურვილი, კერძოდ, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების სფეროში.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის დიპლომატიური მისიების გაცვლა, რომელიც მცირე ხნის წინათ მოხდა, ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და განვითარებას.

• • •

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან დიმიტრი იკონომოვთან შეხვედრისას ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

აღინიშნა დიპლომატიური მისიების გაცვლისა და სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის შექმნის აუცილებლობა.

ორივე მხარემ გამოთქვა საზღვაო-სანაოსნო კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის სურვილი.

• • •

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ თეოდორ მელეშკანუსთან საუბრისას მაღალი შეფასება მისცეს შავი ზღვის ეკონომიკური ალიანსის ქვეყნების თანამშრომლობას. აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციამ უნდა იმუშაოს არა მარტო პოლიტიკის სფეროში, მან ადგილი უნდა დაიმკვიდროს ადამიანთა ცნობიერებაშიც. მხარეებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის მომავალ კონტაქტებზე. უპირველესად, მთავარია სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების საკითხი, ხელის შეწყობაა საჭირო იმ ბიზნესმენებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებით. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა დიპლომატიური ურთიერთობის საფუძვლის ჩაყრა ორ ქვეყანას შორის. რუმინეთ-საქართველოს ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შეხვედრა ბევრ საკითხს მოაგვარებს. ამიტომ საჭიროა, იგი უახლოეს მომავალში გაიმართოს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური-საქინფორმი.

შავი ზღვისპირა ქვეყნების ალიანსი:

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი პრაქტიკული მოქმედების გზაზე

— თბილისის შეხვედრის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მიღწევა იყო შავი ზღვისპირა ქვეყნების ვაჭრობისა და განვითარების ბანკის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რაც მნიშვნელოვანი წვლილია შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პროცესში, განაცხადა, ქართველი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ. პრესკონფერენცია შავი ზღვისპირა სახელმწიფოების ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეოთხე შეხვედრის დამთავრებისთანავე გაიმართა.

მინისტრმა განაცხადა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს შექმნან ენერგეტიკის სამუშაო ჯგუფი. ამას გარდა, ისინი შეთანხმდნენ შექმნან ტურიზმის, მეცნიერებისა და ტექნიკის სამუშაო ჯგუფები. განისაზღვრა მონაწილე მხარეთა წვლილი შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი საერთაშორისო სამდივნოს ბიუჯეტში.

თბილისის შეხვედრა იმითაც გამოირჩევა, ხაზგასმით აღინიშნა ალექსანდრე ჩიკვაიძემ, რომ გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი დადგენილებიდან პრაქტიკულ მოქმედებაზე გადასვლისათვის და ამით ახალი იმპულსი მიენიჭა შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული რეგიონული ორგანიზაციის განვითარებას, რომელსაც უნარი შესწევს, მთლიანად გამოიყენოს თავისი პოტენციალი.

როგორც ბატონმა ჩიკვაიძემ თქვა, მინისტრებმა მოიწონეს ორგანიზაციულ საკითხთა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების გაზაფხულის შეხვედრა გაიმართოს აპრილის მეორე ნახევარში, შემოდგომის სესია კი ოქტომბრის დამლევს. შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თავმჯდომარის უფლებამოსილება გადაეცემა როტაციის საფუძველზე წელიწადში ორჯერ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრების მოწყობის ვადების შესაბამისად.

დღეიდან მოყოლებული, როტაციის წესების თანახმად, შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს ჩემი ბერძენი კოლეგა, მისი აღმატებულება ბატონი კაროლოს პაპულიასი. ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და მინდა კიდევ ერთხელ მივულოცო მას ეს დანიშვნა, თქვა დასასრულ მინისტრმა.

თბილისის შეხვედრის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

საღამოს ფორუმის მონაწილეებისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

„ბისეკის" საექსპერტო ჯგუფი პროექტებს განიხილავდა

29 ივნისს სასტუმრო „მეტეხში" განაგრძო მუშაობა „ბისეკის" საექსპერტო ჯგუფმა, რომელიც საბანკო შეთანხმებისა და „ბისეკის" ბანკის შექმნის პროექტებს განიხილავს. საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ექსპერტების ჯგუფის ყველა წევრი არ არის თანახმა შეიქმნას შავიზღვისპირეთის ბანკი წარმოდგენილი პროექტის მიხედვით. თუმცა, ბანკის დაფუძნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ ალიანსში შემავალი ქვეყნების თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებისათვის, ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. სწორედ ეს ბანკი დააფინანსებს იმ პროექტებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მრეწველობის სხვადასხვა დარგებისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებასა და შემდგომ განმტკიცებას.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ანდრეი კოსიანენკო: მინდა აღვნიშნო, რომ „ბისეკის" რეგიონული ბანკის დაფუძნებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს არის ამ რეგიონის ფინანსური ინსტრუმენტი.

საბერძნეთის საელჩოს პირველი მრჩეველი კონსტანტინე კოკოსისი: „ბისეკის" ალიანსის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია საბერძნეთისათვის. შავი ზღვის ქვეყნებთან ყოველთვის გვქონდა საქმიანი ურთიერთობა, ჩვენ ოდითგანვე გვაინტერესებდა მეზობელი ქვეყნების ეკონომიკა, ასე რომ, საბერძნეთის ინტერესი მხოლოდ ზღვით არ შემოიფარგლება და ამ ალიანსში ჩვენი წევრობა სწორედ ამით აიხსნება. შავიზღვისპირა ქვეყნებთან თანამშრომლობას ყოველთვის ვცდილობთ და შეძლებისდაგვარად უნდა გავააქტიუროთ ეს ურთიერთობა. რაც შეეხება საბანკო საკითხს, რომელიც დღის წესრიგში დგას, უდავოდ მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე კონკრეტული გადაწყვეტილებაა, თუკი მივაღწევთ. ბანკი, რომლის დაფუძნებაზეც ამდენი შრომაა დახარჯული, დააფინანსებს „ბისეკთან" დაკავშირებულ ყველა პროექტს. აქვე დავსძენ, რომ ბანკის შესაქმნელად წარმოდგენილი თერთმეტი ქვეყნიდან მხოლოდ სამი — საბერძნეთი, თურქეთი და ბულგარეთია მზად.

ნანა გელაშვილი.

გამოცოცხლება არდადეგების წინ

პარლამენტის სხდომის დღიური

30 ივნისს თბილისში გაიხსნა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. პარლამენტის წევრები მიესალმნენ მის მონაწილეებს და წარმატება და ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს. თუმცა, თვითონ ნაყოფიერ მუშაობას სხდომის გახსნისთანავე ვერ შეუდგნენ. ჯერ ერთი, თავი იჩინა პარლამენტის ქრონიკულმა დაავადებამ— ქვორუმის უქმარისობამ, და ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი იძულებული გახდა რადიოთი მიემართა იმათთვის, ვინც არ ესწრებოდა სხდომას, 12 საათისათვის აუცილებლად გამოცხადებულიყვნენ პარლამენტში. მეორეც, დღის წესრიგის დამტკიცებისა და ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის ბიუჯეტის განხილვისა და მიღების ნაცვლად, ზოგიერთმა პარლამენტარმა გააკეთა მეორეხარისხოვანი, ხშირად კი, პირადი განცხადება.

ასე თუ ისე, დღის წესრიგის დამტკიცებას თითქმის ორი საათი მოანდომეს. სხდომის თავმჯდომარე იძულებული იყო გაეკეთებინა განცხადება იმის შესახებ, რომ ოპოზიცია სპეციალურად აჭიანურებს საქმეს, რადგან იცის, ბიუჯეტი თუ არ დამტკიცდება, მოსახლეობა ვერ მიიღებს ხელფასს, გაღრმავდება ისედაც გამწვავებული პრობლემები, რომელთაც ხალხის უკმაყოფილება მოჰყვება. სწორედ ეს აძლევს ხელს ოპოზიციას, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს ხელისუფლების გადადგომის საკითხი...

რამდენიმე საკითხის დამატების შემდეგ დღის წესრიგი მაინც დამტკიცდა და კვლავ განსახილველად გამოიტანეს ბიუჯეტის საკითხი. წინა სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ ის დაუმატა, რომ დღეს თუ ხვალ გარკვეული ოდენობით ფულის ემისია გარდაუვალია. ამავე დროს, მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს იმაზე, რომ შეძლებისდაგვარად შევინარჩუნოთ კუპონის კურსის დღევანდელი დონე; არ დავუშვათ მისი დევალვაცია. მით უმეტეს. დასძინა ვიცე-პრემიერმა, 20 ივლისისათვის თბილისში ჩამოდიან ევრობანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, არ ითანამშრომლებენ ჩვენთან, თუ ეს მოხდება.

მკვეთრად გამოიკვეთა ის, რომ განსახილველ საკითხში ბანკის ხელმძღვანელობისა და ხელისუფლების აზრი ერთმანეთს ემთხვევა. ისიც ითქვა, რომ მიღებული დადგენილების დადებითი თუ უარყოფითი შედეგისათვის პასუხისმგებელი პარლამენტი იქნება.

შემდეგ სიტყვა სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** აიღო. მან ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ჩვენში რეალურად არსებულ სიტუაციას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

— ჭარბი ფულის გამოშვება და ამით გამოწვეული ინფლაცია იმდენად ელემენტარული ცნებებია, — თქვა მან, — რომ ამ პროცესზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ისმის კითხვა — თუ ასე არ მოვიქცევით, რა მოხდება მაშინ? ვფიქრობ, მოხდება რაღაც უარესი. ამიტომ არ უნდა დავუშვათ ეს. მით უმეტეს, რომ შეიმჩნევა რაღაც პოზიტიური ცვლილებები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ერთი სიტყვით, იმის გარდა, რაც უნდა მოხდეს, ავია ეს თუ კარგი— სხვა გზა დღეს აღარა გვაქვს. თავისთავად ეს ნაბიჯი მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის წინაშე კარგ სამსახურს ვერ გაგვიწევს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისინიც ხომ ადამიანები არიან, და, ვფიქრობ, შეიძლება დავარწმუნოთ, რომ ჩვენ მართლაც სხვა გზა არ გაგვაჩნდა. ევროგაერთიანების სახელმწიფოთა მეთაურებს დავუგზავნეთ წერილები და „შესაძლოა, მივიღოთ მათგან დამატებითი დახმარება. არის შანსი დაგვეხმაროს შეერთებული შტატები, შესაძლოა, დახმარება რუსეთიდან მოვიდეს. გარკვეულ იმედებს ვამყარებთ პრივატიზაციის დაჩქარებაზე — ესეც რაღაც თანხებს შემოიტანს სახელმწიფოს და ხელისუფლებას მანევრირების საშუალებას მისცემს. ბოლოს და ბოლოს, თუ მთლიანად არა, უნდა მივუახლოვდეთ იმ მომენტს, როცა ხელფასი და ფასები ერთმანეთს გაუწონასწორდება.

კონსენსუსის შედეგად პარლამენტმა გადაწყვეტილება მიიღო, საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის მეორე კვარტალის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ: მინისტრთა კაბინეტს დაევალა წლეულს, 1 აგვისტომდე, საქართველოს პარლამენტს წარმოუდგინოს 1994 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი. პარლამენტის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დაევალა საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის აპრილ-დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებამდე მინისტრთა კაბინეტს გრძელვადიანი კრედიტი გამოუყოს. წლეულს, მეორე კვარტალში გაწეული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსებისათვის 10 ტრილიონი კუპონის, ხოლო ივლისში გასაწევი ხარჯების დასაფარავად — 2 ტრილიონი კუპონის ოდენობით. საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენელთა შემადგენლობით შეიქმნა კომისია რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყოფილი ემისიური კრედიტის მომჭირნეობითა და მიზნობრივად გამოყენების, მიმოქცევაში მისი თანაბარზომიერად გაშვებისა და ინფლაციის მოსალოდნელი ტალღის ჩაქრობის მიზნით.

იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ **შალვა ნათელაშვილმა** განსახილველად წარმოადგინა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ". ახალი ცვლილებებით [illegible] ეკონომიკური სანქციები, კერძოდ, ეს ეხება უხარისხო პროდუქციის გამოშვებას და სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებას. უხარისხო პროდუქციის სასაქონლო ბაზარზე გამოშვება ან მომხმარებლისათვის ასეთი პროდუქციის მიწოდება, თუ მას მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიკვდილი, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით შრომის ანაზღაურების 500 მინიმალურ ოდენობამდე.. პირველად სამართალდარღვევათა კოდექსში შემოვიდა 158-ე მუხლი, რომელიც მიზნად ისახავს სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების აკრძალვას. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების ან საქონლის მარკირების უკანონო გამოყენება გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საწარმოთა შესახებ", რომელიც საყოველთაო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნდება. ასევე თითქმის ერთხმად მიიღეს კანონი „გირავნობის შესახებ".

სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს **რომან მიმინოშვილი,** მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ — **მიხეილ გვერდწითელი,** ვეტერანთა კომისიისა — **ალექსანდრე ბერიძე.**

შეიქმნა უკრაინასთან თანამშრომლობის საპარლამენტო ჯგუფი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს **თედო პაატაშვილი.**

ამით დამთავრდა საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია.

საქინფორმის საპარლამენტო კორ.

დაიწყო სამშვიდობო ღონისძიებები

აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი ზუგდიდიდან იტყობინება: ამ დღეებში ინტენსიურად მიმდინარეობს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების სამშვიდობო ოპერაციით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. სამშვიდობო ძალების შემოსვლას მოსახლეობა გაგებითა და კეთილგანწყობით შეხვდა, რასაც კმაყოფილებით აღნიშნავენ სარდლობის წარმომადგენლებიც, ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც. მათი შთაბეჭდილებით ეს განწყობილება იგრძნობოდა მთელ გზაზე ბათუმიდან, განსაკუთრებით კი — ზუგდიდში, სადაც ნახევარი ქალაქი . მაინც გამოვიდა მათ შესახვედრად. უსიამოვნო ექსცესები არ ყოფილა. სამშვიდობო ძალების სარდლობამ შეამოწმა უსაფრთხოების ზონაში (იგულისხმება ორივე მხარე) სამეთვალყურეო და გამშვები პუნქტების მდგომარეობა და მიიჩნია, რომ ისინი ძირითადად სამოქმედოდ მზად არის.

იმის გათვალისწინებით, რომ ზუგდიდში სამშვიდობო ძალების შემოსვლამდე მოქმედებდა საგანგებო ვითარების რეჟიმი, წარმოიშვა დამატებითი მოთხოვნები. მათ შორის — უსაფრთხოების ზონაში და უსაფრთხოების ზონიდან სამხედრო ფორმირებების გაყვანა, იარაღის შემოტანისა და გატანის აკრძალვა, ყოველგვარი პროვოკაციის დაუშვებლობა, წესრიგისა და დისციპლინის დაცვა. აქედან გამომდინარე კი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიების შექმნის აუცილებლობა. სამშვიდობო ძალებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შეთანხმებით 1994 წლის 27 ივნისის 22 საათიდან დილის 6-მდე, აქ გამოცხადდა საკომენდანტო საათი. სამშვიდობო ძალების ფუნქციები ძირითადად განისაზღვრება სამეთვალყურეო და საკონტროლო გამშვები პუნქტებით. განსაზღვრულია ტერიტორიისა და უსაფრთხოების ზონაში საკომენდანტო საათის დროს შემოსვლა-გასვლის კონტროლი, ხოლო თვით უსაფრთხოების ზონის შიგნით — ქალაქ ზუგდიდსა და რაიონში აღნიშნულ რეჟიმს ახორციელებს ზუგდიდის კომენდანტის ბატონ ფრიდონ ადამიას სამსახური.

არაოფიციალური მონაცემებით, შესაბამისი ღონისძიებები ენგურის იქითა მხარესაც ხორციელდება. 28 ივნისს, 16 საათისათვის დანიშნული იყო აფხაზური სამხედრო შენაერთის გაყვანა უსაფრთხოების ზონიდან. მიღებულია გადაწყვეტილება მდინარე ენგურის მთავარი საავტომობილო-საგზაო ხიდის აღდგენის თაობაზე. ამ საკითხზე თავის დროზე სოჭში მოლაპარაკებაზე მხარეების მიერ შეთანხმება აფხაზური მხარის წინააღმდეგობის გამო ვერ იქნა მიღწეული. შესრულდა მოსამზადებელი სამუშაოები, ფაქტობრივად დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. მოსახლეობას ოპტიმისტური განწყობილება აქვს.

ზუგდიდში მოქმედებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო საბჭოს შტაბი, რომელმაც მოაწყო გალში ორგანიზებული დაბრუნებისათვის მოსახლეობის აუცილებელი აღრიცხვა-რეგისტრაცია. მუშავდება დაბრუნების გრაფიკი სოფლებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით, საბოლოოდ დგინდება გალში დაბრუნების პროცესში ჰუმანიტარული და სხვა დახმარების განაწილების წესი. აქ იმყოფება გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის წარმომადგენელი ბატონი რახმანი. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ახლო მომავალში ზუგდიდში შტაბ-ბინა ექნებათ კომისარიატის წარმომადგენლებს, რომლებიც სერიოზულ მონაწილეობას მიიღებენ საერთო საქმეში.

საერთაშორისო ორგანიზაციები გვეხმარებიან

1994 წლის 18-26 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მოადგილის თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიწვევით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს სხდომის წინ ეწარმოებინა მოლაპარაკება სავალუტო ფონდთან საქართველოსათვის შესაძლებელი ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. ამას გარდა, დელეგაციას ჰქონდა შეხვედრები მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთანაც.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებანი საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან შედეგიანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ივლისის მეორე ნახევრიდან დაიწყოს საქართველოსათვის დახმარების პროგრამის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება წლევანდელი წლის დამლევისათვის STG-ს სისტემური ტრანსფორმაციის საშუალების — სესხის გამოყოფა.

მსოფლიო ბანკთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ წლეულს, 11 ივლისს, პარიზში, ხელს მოაწერენ საქართველოსათვის საინსტიტუციო მშენებლობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე ხელშეკრულებას 10 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით. ამას გარდა, მუშავდება მეორე პროექტიც საქალაქო მეურნეობის განვითარების შესახებ.

მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი.

შეხვედრა პარლამენტში

29 ივნისს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საპარლამენტო ფრაქციათა წარმომადგენლებისა და საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა შეხვედრა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქართველოს დელეგაციის წევრთან, აფხაზეთის სტატუსის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფების ხელმძღვანელთან საქართველოს მხრიდან ირაკლი მაჭავარიანთან. მან დამსწრეთ წარუდგინა ვრცელი ინფორმაცია დელეგაციის მიერ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისათვის გაწეულ მუშაობაზე.

ევროკავშირსა და ნატოში

22 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ა. კოზირევმა ხელი მოაწერა ბრიუსელში ნატოს პროგრამას „მშვიდობისათვის თანამშრომლობის" შესახებ. ამრიგად, რიგი სირთულეებისა და დიპლომატიური კოლიზიების მიუხედავად, რუსეთი ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, შეუერთდა ნატოს ამ ინიციატივას.

24 ივნისს კი საბერძნეთში ბატონმა ბ. ელცინმა ხელი მოაწერა ევროკავშირისა და რუსეთის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ რუსეთის შეერთება ამ ორ უმნიშვნელოვანეს პროგრამასთან მიუთითებს მოსკოვის გადაწყვეტილებაზე ხარისხობრივად ახალ ეტაპზე აიყვანოს ურთიერთობა დასავლეთთან. ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება, კერძოდ, ითვალისწინებს ევროპის მხარდაჭერას, რათა რუსეთი შეუერთდეს გენერალურ შეთანხმებას ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (გატი), ყოველგვარი კვოტების გაუქმებას რუსეთის ექსპორტზე (ქსოვილებისა და მეტალურგიული ნაწარმის გარდა), კაპიტალდაბანდებებისა და ბიზნესის წახალისებასა და სხვა.

ანალოგიურ ხელშეკრულებას უკრაინისა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერა ბატონმა ლ. კრავჩუკმა 15 ივნისს, ლუქსემბურგში.

როგორც ვიუწყებოდით, 23-24 ივნისს, ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირისა და საქართველოს დელეგაციების პირველი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იყო ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

ევროპული პრესის ყურადღების ცენტრშია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრა კორფუში (საბერძნეთი). ბატონმა ე. შევარდნაძემ პირადი მიმართვები გაუგზავნა ევროპის 12 სახელმწიფოს მეთაურს, რათა მათ განიხილონ კავკასიის ქვეყნებისათვის საკვები პროდუქტებით დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა.

სხვადასხვა

დასავლეთი დაძაბული ადევნებს თვალყურს საფრანგეთის სამშვიდობო ოპერაციას რუანდაში, რომელიც 23 ივნისს დაიწყო. ვარაუდობენ, რომ ამ ოპერაციის შედეგები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 3000-მდე ფრანგი ჯარისკაცი, დიდ გავლენას იქონიებს დასავლეთის სამშვიდობო პოლიტიკაზე რეგიონული კონფლიქტების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიისა და სომალის დრამატულმა გამოცდილებამ უარყოფითად იმოქმედა გაეროს გადაწყვეტილებებზე ამა თუ იმ რეგიონში, კერძოდ, საქართველოში, საჭირო სამშვიდობო ძალების შეყვანის თაობაზე. მიმომხილველები საფრანგეთის გადადგმულ ნაბიჯს რუანდაში მეტად სარისკოდ და საეჭვოდ მიიჩნევენ. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი წლების მანძილზე აიარაღებდა რუანდას.

22 ივნისს „ფაინენშლ ტაიმსი" იტყობინებოდა, რომ დასავლეთის ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა ბატონმა ი. შაფრანიკმა ილაპარაკა „იმ რისკზე, რომელიც თან ახლავს დასავლეთის ფირმების მონაწილეობას კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისებაში". მინისტრის სიტყვებით „იმის გამო, რომ ჯერ არ არსებობს იურიდიული ნორმები კასპიის ზღვის დაყოფის შესახებ 5 ქვეყანას შორის, მე გირჩევთ ფრთხილად იყოთ". ამ კონტექსტში გაზეთი იხსენებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვას დიდი ბრიტანეთის საელჩოსადმი, რომელშიც, ფაქტობრივად, დეზავუირებულია აზერბაიჯანისა და „ბრიტიშ პეტროლეუმის" მოლაპარაკება თანამშრომლობის შესახებ.

ყურადღება ეთმობოდა უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებს. გაზეთები მეტწილად უარყოფით შეფასებას აძლევენ პრეზიდენტ ლ. კრავჩუკის ეკონომიკურ პოლიტიკას. მაგალითად, ბელგიური [illegible] 24 ივნისს [illegible] „უკრაინის მომავალი პრეზიდენტი დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს წააწყდება, რადგან 1993 წელს ქვეყანაში ინფლაციამ 3,500 პროცენტს მიაღწია. უკრაინაში საშუალო ხელფასი 15 დოლარია, როცა მეზობელ „მდიდარ რუსეთში" — 100 დოლარი. ბოლო წლებში უკრაინაში „გამოგონებული" ეკონომიკური სისტემა უფრო ცუდად მუშაობს, ვიდრე ადრეული საბჭოთა გეგმიანი ეკონომიკა. კრიზისიდან თავის დასაღწევად ქვეყანას სჭირდება ჭეშმარიტი ლიდერი და დიდი პოლიტიკური მიზანსწრაფვა, რომელთა გამოძებნა ძალიან ძნელი იქნება".

დასავლეთის პრესაში დიდი რეაქცია გამოიწვია ბატონ ა. ლუკაშენკოს წარმატებამ ბელორუსიის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში. საერთოდ, ბელორუსიის თემას ნაკლებად იხილავენ დასავლეთში.

20 ივნისს „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნსა" და „ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა მასალები იმის შესახებ, თუ როგორ მიჰყიდა უკრაინას ამერიკულმა კომპანია „ზინეკამ" 70 მილიონი დოლარის გაფუჭებული სიმინდის თესლი.

პრემიერ-მინისტრმა ვ. ჩერნომირდინმა ვაშინგტონში ხელი მოაწერა შეთანხმებას მსოფლიო ბანკიდან, სესხის სახით, 820 მილიონი დოლარის აღების შესახებ.

ბენილუქსის ქვეყნებში და ევროგაერთიანებასთან საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს პრესსამსახური.

აქტუალური ინტერვიუ

გვჭირდება რეფორმები, კიდევ და კიდევ რეფორმები

ქართული სახელმწიფოებრიობა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესი ზნეობრივი, პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარება, კრიზისის დაძლევა შეუძლებელია საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის გაუაქტიურებლად. უიმადამიანებოდ, რომელთა გამოცდილება, გონიერება, კეთილსინდისიერება და პატიოსნება დღეს ისე სჭირდება ჩვენს ბედკრულ სამშობლოს, როგორც არასოდეს.

გაზეთის სტუმარია საქართველოს პარლამენტის წევრი, რეფორმატორთა კავშირის თანათავმჯდომარე ბაკურ გულუა.

— ბატონო ბაკურ, პარლამენტის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე, თქვენ გამოიტანეთ მეტად მნიშვნელოვანი კანონპროექტი — ეკონომიკური რეფორმებისათვის მყარი სამართლებრივი ბაზის შექმნის ღონისძიებების შესახებ. პროექტის განხილვისას, წარმოქმნილი წინააღმდეგობების მიუხედავად, კანონი გავიდა ხმის აბსოლუტური უმრავლესობით, რით ხსნით ამ ფაქტს?

— გამართლდა რეფორმატორთა კავშირის პროგნოზი იმის თაობაზე, რომ პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობას არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები და მას ძალუძს ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო გადაწყვეტილებების მიღება. ასეთი საკითხის პარლამენტის დღის წესრიგში დაყენება საქმიანსა და ნაყოფიერს ხდის საპარლამენტო მუშაობას, შესამჩნევად ცვლის დაპირისპირება პოზიცია-ოპოზიციას შორის, უკან იწევს პარტიული ეგოისტური ინტერესები.

არის საკითხის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მხარე — შემთხვევითი არ ყოფილა, რომ კანონპროექტი რეფორმატორთა კავშირისა და დეპუტატთა საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა მოამზადა. კრიზისიდან თავის დაღწევის, სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების ერთადერთ გზად მათ სწრაფ რეფორმების დროული და აუცილებელი გატარება მიაჩნიათ. ამ მიზნით, პრესაში უკვე გამოქვეყნდა იმ პირველ კანონპროექტთა ნუსხა, რომელთა მიღებას ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად და მეწარმისთვის ელემენტარული პირობების შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მიგვაჩნია, რომ პარლამენტართა მხრიდან კანონშემოქმედებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია იმ უბედურებისა, რაც ქვეყანაში ტრიალებს. მხოლოდ იმის თქმა, რომ ყველა თანაბრად ემორჩილებოდეს კანონს, ცხადია, არ კმარა. კანონი ჯერ უნდა არსებობდეს, ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება აღსრულებაზე ვილაპარაკოთ.

კანონის ძალის მქონე აქტები და დოკუმენტები, რომლებსაც თვითნებურად გამოსცემენ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, ხშირად კანონს ეწინააღმდეგება, უფრო მეტიც, ასეთმა ინსტრუქციებმა და დოკუმენტებმა სამეურნეო ცხოვრებაში არევ-დარევა შეიტანა, სტაბილურობის ყოველგვარი პირობა მოიშალა. ამიტომ არის მეწარმე გაჩერებული, ქვეყანა მოშლილი. კანონის უზენაესობის პრინციპის დაუმკვიდრებლად, ქვეყანა ვერ დაწყნარდება, ვერ გამოვა კრიზისიდან — ასეთია რესპუბლიკის რეფორმატორთა კავშირის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი.

— რას ფიქრობთ, არის თუ არა გამოსავალი დღეს შექმნილი მდგომარეობიდან, რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად?

— გამოსავალი არსებობს და იგი რეფორმების დაუყოვნებლივ განხორციელებაშია. სამწუხაროდ, ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ, ხელიდან გავუშვით ყველაზე მნიშვნელოვანი დრო, დრო ძირეული რეფორმების გასატარებლად. ახლა საჭიროა ვადების შეკუმშვა. აუცილებლად უნდა გავიზიაროთ განვითარებული მსოფლიოს გამოცდილება თუნდაც იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ:

პირველი, აღმოჩენები ეკონომიკის თეორიაში საქართველოში ვერ მოხდება, კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის უნიკალური მოდელი ჩვენთან ვერ შეიქმნება.

მეორე, ქვეყნების ისტორია ტიპოლოგიურობას ექვემდებარება და ეკონომიკურ კანონებს უნივერსალური ხასიათი აქვთ.

არ არსებობს ქართული, ევროპული, აზიური, ეკონომიკური კანონები. არსებობს ჯამი თუ იმ ქვეყნის განვითარების უნიკალურობა და განუმეორებლობა, მეურნეობის მოწყობის საკუთარი სისტემა და მისი განვითარების პარამეტრები. ამ მხრივ, საქართველოს გზაც არ შეიძლება იყოს რომელიმე ქვეყნის გამოცდილების ზუსტი გამეორება. რა თქმა უნდა, ჩვენ საკუთარი გზით უნდა ვიაროთ, რომელიც განვითარებული მსოფლიოსა და საკუთარი სამეურნეო ტრადიციების სინთეზს უნდა შეადგენდეს.

იქნება თუ არა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა, ეს თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, იქნება თუ არა მას დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა, სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა. ქვეყანა წარმოუდგენელია იყოს დამოუკიდებელი ნებისმიერი თვალსაზრისით, თუ მას დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა არა აქვს, თუ მას არ ძალუძს უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა, საქართველოს განვითარების გზის არჩევას სწორედ ამიტომაც ეკისრება პოლიტიკურ-ეკონომიკური დატვირთვა. ამიტომ არის საჭირო არჩეული გზის მაღალ დონეზე გააზრება და შემდგომ მკაცრი რეჟიმით პრაქტიკულ-ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფა.

— თქვენ რომელ გზას მიანიჭებდით უპირატესობას — დირიჟორულ რეჟიმულ ეკონომიკას, თუ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, რომელში ხედავთ გამოსავალს?

— წარმოების საბჭოურმა წესმა, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე იყო გავრცელებული, პირწმინდად წააგო სამეურნეო ბრძოლა. მაგრამ არც გამარჯვებულია ძლევამოსილად გამარჯვებული, კაცობრიობის სამი მეოთხედი ან დაბალანსებულად ვერ იკვებება, ან შიმშილობს. ასე რომ, ეტყობა საკითხი მარტივად არ წყდება: აირჩიე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კურსი და ყველაფერი კარგად იქნებაო (როგორც ეს ჩვენთან გაისმოდა ბოლო წლებში, რამაც ხალხი შეცდომაში შეიყვანა). თუმცა, ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, წარსულისაკენ შემობრუნება შეუძლებელია.

ეს დღეს არავის და არაფერს ძალუძს! ხალხმა უნდა იცოდეს, რომ დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობიდან მას მხოლოდ გონივრული რეფორმები გამოიყვანს. აქვე ერთ პრინციპულ საკითხსაც უნდა შევეხოთ: საქართველომ თავისი ცხოვრების დამოუკიდებელი მოწყობის შანსი არ უნდა გაუშვას ხელიდან. ეკონომიკური დამოუკიდებლობა უკავშირდება პოლიტიკურს და პირიქით. ყველა საშუალებით უნდა აღდგეს დამოუკიდებელ ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი. ამას ჩვენი ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

განვითარებისათვის საქართველოს დარჩენილი აქვს ერთადერთი გზა — გზა დემოკრატიული, თავისუფალ მეწარმეობაზე აგებული ეკონომიკისაკენ. ქვეყანა სიდუხჭირიდან მეწარმემ უნდა გამოიყვანოს და ამაში მას სახელმწიფოს დახმარება სჭირდება. ამ ორი შემადგენელი ნაწილის — მეწარმისა და სახელმწიფოს თანამშრომლობაში, შემოქმედებითს პარტნიორობაშია წარმატების გასაღები. სიდუხჭირისაგან თავის დახსნის გასაღები ჩვენს ხელთ არის და მისი გამოყენებაც მთლიანად ჩვენზეა დამოკიდებული.

— დასასრულ, ბატონო ბაკურ, თქვენი კავშირის თაობაზე ხომ არ გვეტყოდით ორიოდე სიტყვას. ვინა ხართ, რა გინდათ, საითკენ მიდიხართ...

— რეფორმატორთა კავშირი ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანებაა, რომლის ძირითადი მიზანია დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი რეფორმების განხორციელება, რეფორმატორული სულისკვეთებით განმსჭვალული პროფესიონალების ასპარეზზე გამოყვანა, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისათვის პირობების შექმნა.

კავშირი და მისი საყრდენი სოციალური ბაზა ფონს შეუქმნიან ხელისუფლებას ძირეული რეფორმებისათვის. ეს არის პირველი, სადღეისო ამოცანა, მეორე, უფრო შორეული ამოცანაა, ისინი თავად მოვიდნენ ხელისუფლებაში.

კავშირის ზოგადი ამოცანა გახლავთ საზოგადოებაში შექმნილი დინამიკური ბალანსის შენარჩუნება ისე, რომ კომპრომისი არ დაუშვას. მთავარში — გადამწყვეტი რეფორმებისათვის ქვეყნის დემოკრატიული მოწყობისათვის სწრაფვაში, რაც თავის მხრივ, გარანტი იქნება კეთილდღეობის, მშვიდობისა და დემოკრატიული იდეების დამკვიდრებისათვის.

ბოლო წლებში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკოსები და მწარმოებელი, აღმშენებლობითი პოტენციის მქონე ადამიანები ერთმანეთისაგან გათიშული, ზოგჯერ ერთმანეთთან დაპირისპირებულიც კი აღმოჩნდნენ. მოქმედი პოლიტიკოსების უმრავლესობა, სამწუხაროდ, დაქსაქსულია წვრილ, სოციალური ბაზის უქონელ პარტიებში. ამიტომ, თვალში გვცემთ, ერთი მხრივ, მათი განუწყვეტელი ბრძოლა ხელისუფლებაში მოსახვედრად, ლიდერის მდგომარეობის მოსაპოვებლად, მეორე მხრივ, კონსტრუქციულად მოაზროვნე პროფესიონალების გათითოკაცება და განზე დგომა.

ვერა და ვერ მოხერხდა სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლისა და შენების პროცესის შერწყმა. დაყოვნება შეუძლებელია. დღევანდელი რეალობა გადაუდებლად მოითხოვს მოაზროვნე ადამიანების შესაძლებლობათა თავმოყრას მძლავრ პოლიტიკურ მოძრაობაში, რომლის მთავარი მიზანი საზოგადოების რეფორმატორული ძალების გაერთიანება და ქვეყნის გადასარჩენად თანამშრომლობა იქნება. უსაფუძვლოა ქვეყანაში გამეფებული პესიმიზმი, ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლის ჩაყრისათვის საკმარისი წინაპირობები ჯერ კიდევ არსებობს. რამდენიმე ძირითად მომენტს აღვნიშნავ: საქართველოს გეოპოლიტიკური და ზღვისპირა მდებარეობა, სხვადასხვა წიაღისეული, სიმდიდრე, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, მეურნის ტრადიციული ჩვევები და შრომისმოყვარეობა. ხაზს ვუსვამ — გამოსავალი არსებობს და ის რეფორმების დაუყოვნებლივ და გონივრულ განხორციელებაშია. მთავარია, ამ საქმეს ჩაუდგეს ძლიერი პროფესიული გუნდი, რომელიც შეძლებს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანას, რომელიც პასუხისმგებლობას იკისრებს ამ გარდაქმნათა ყველა შედეგისათვის.

FONDATION DU FORVM UNIVERSALE

„კრან-მონტანა ფორუმი“ — დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გადებული ხიდი

ზესახელმწიფოების მიერ გატაცებული, დანაწილებული და დასაკუთრებული ევროპა თვისობრივად ახალ პერსპექტივაში შედის: იალტის კონფერენციის აჩრდილი ქრება და ახლა უკვე ნამდვილად თავისუფლდება იგი.

იხურება ამ კონტინენტის სახელმწიფოებისა და ხალხების ახალი ისტორიის მორიგი თავი.

იწყება სხვა: საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე გადასული პოსტკომუნისტური ქვეყნები დაღლილი ევროპის ერთიან სივრცედ გარდაქმნის მძლავრ იმპულსად იქცევა.

ბერლინის კედელი ერთ ღამეში დაინგრა, მაგრამ მისი ნარჩენებისგან გაწმენდა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს. ეს ცნობილია.

ამიტომ ევროპამ უნდა გაუგოს აღმოსავლეთს, თუ აქეთა მხარეს ყველაფერი ისე სწრაფად არ გამოსდის, როგორიც სურს.

მაგრამ დრო არის ისეთი, როდესაც მოთმინება აღარ არის „ყველა სათნოების დედა“.

— ღმერთო, მომეცი მოთმინება, მაგრამ რაც შეიძლება მალე მომეცი ეს მოთმინება. — ერთი პასტორის ეს ორიგინალური ვედრება დღევანდელი ევროპული განწყობილების დევიზია, ალბათ.

დრო დაიწყნება და ეს კრან-მონტანაშიც გამოჩნდა ყველა თავისი წახნაგით.

ერთ-ერთი ტელეჟურნალისტიკაა, რომელიც მოთმინებითა თვისითა ვერ მოიპოვებს სასუფეველს თვისას.

დღეს პროფესიონალიზმის უმაღლესი ნიშანი მოვლენის (ფაქტის) მყისიერი გადაცემაა რაც შეიძლება ფართო აუდიტორიისათვის. ერთიც და მეორეც — მყისიერება და აუდიტორიის სიდიდე — შენი ავტორიტეტის მაჩვენებელია.

მოვლენა ტელევიზიის გარეშე არ უნდა მოხდეს. ესაა დღეს მთავარი. ღირებულსა და მნიშვნელოვანზეა ლაპარაკი, თორემ პარლამენტარების უსაგნო და უშედეგო პაექრობისთვის არავინ აცდენს ეთერს.

შეძლებ-ამის ორგანიზებას. — ტექნიკურად და შემოქმედებითად? პროფესიონალი ხარ.

ვერა? სხვა გაგასწრებს და სდიე წასულ მატარებელს ბილეთით ჯიბეში.

ტრანსეროვნული ტელეკომპანია „ევრონიუსი“ უმნიშვნელო საქმეზე არ მოცდება, მაგრამ არცერთ ყურადსაღებ ფაქტს გაუშუქებელს არ დატოვებს. ხოლო ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას, როგორიც „კრან-მონტანა ფორუმია“, შეიძლება თვითონ ამოუდგეს მხარში, სპონსორობაც იკისროს და მთავარი პლენარული სხდომების პირდაპირი ტრანსლაციაც მოაწყოს 40-ზე მეტ ქვეყანაში.

იცის, რასაც აკეთებს.

აი, სწორედ ამ ტელეკომპანიისა და „ფორუმის“ ხელმძღვანელობით ჩატარდა უნიკალური ტელეხიდი კრან-მონტანა — თეირანი, დიალოგი კონფერენციის მონაწილეთა და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ რაფსანჯანის შორის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“, № 117.

ევროპა ამ ისლამურ რესპუბლიკასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას ცდილობს დაკარგული დროით საკმაოდ შეწუხებულია.

ისევ დრო, რომელიც არ ითმენს.

ცხადია, ირანსაც ხელს აძლევდა ასეთი ღია მსოფლიო ეთერი.

არ უნდა იყოს ეს ტელეინტერვიუ უინტერესო (არგუმენტებით თავს აღარ შეგაწყენთ) ქართული აუდიტორიისთვისაც და ამიტომ მოკლე ჩანაწერს შემოგთავაზებთ.

ტელეხიდის (რომელიც ერთ საათს გაგრძელდა) გაძღოლა როლან დიუმას სთხოვეს.

ამ დიალოგს წინ უძღოდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი აკბარ ველაიათის მოხსენება დღევანდელი ირანის შესახებ, და, მაშასადამე, კონფერენციის მონაწილეები ამ ქვეყნის ძირითადი პრობლემების საქმის კურსში იყვნენ.

დიდ ეკრანზე პრეზიდენტ რაფსანჯანის გამოსახულება გამოჩნდება — ჩალმით და ტრადიციული ტანსაცმლით. ურთიერთმისალმების (სალამ-ქალამის) შემდეგ იტყვის, რომ ელოდება სადისკუსიო თემას.

დიუმა. რეგიონული კონფლიქტებისადმი პრეზიდენტის დამოკიდებულებისა და ირანში, ერაყსა და თურქეთში ქურთების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის მისეულ შეფასებაზე ეკითხება. აგრეთვე, ეთნოკონფლიქტების თაობაზე ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში.

რაფსანჯანი: მეზობელი ქვეყნების მიმართ ჩვენი პოლიტიკის მთავარი პრინციპებია მშვიდობით და მეგობრულად ცხოვრება. თუ გამოჩნდება პრობლემები ჩვენსა და მათ შორის, ვცდილობთ მათ მოგვარებას მოლაპარაკებათა გზით.

ერაყისა და ქურთების შესახებ განვახორციელებთ იმ პოლიტიკას, რომელიც სწორად და საჭიროდ მიგვაჩნია: არავითარ შემთხვევაში არა გვსურს ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დაშლა, მისი ერთიანობის დანაწევრება.

ქურთების თაობაზე კი ვფიქრობ, რომ ამ ეროვნების ადამიანები თურქეთისა და ერაყის მოსახლეობის ნაწილია და, რა თქმა უნდა, გარკვეული ეთნიკური უფლებები მათ უნდა მისცენ მათთანვე შეთანხმებით.

დამოუკიდებელი ქვეყნების შესახებ კი (**ასე მოიხსენია პრეზიდენტმა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკები. — ა. ს.**) შემიძლია ვთქვა, რომ აქაც არის კონფლიქტები. მათ მიმართ ჩვენი პოლიტიკა განისაზღვრება იმით, რომ ყოველმხრივ დავეხმაროთ ამ კონფლიქტების მოგვარებასა და მშვიდობის დამყარებაში.

ჩვენ სხვებსაც ვურჩევთ, რომ არ ჩაერიონ სხვა სახელმწიფოთა საქმეებში. 70 წლის მანძილზე დატყვევებული ქვეყანა თუ ახლა გათავისუფლდა, აქ კონფლიქტების გაჩენა სავსებით ბუნებრივია. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ საქმეებში ჩაურევლად.

ამ პასუხიდან გამომდინარე როლან დიუმა ეკითხება, თუ როგორ ესახება პრეზიდენტს თავისი ქვეყნის როლი ბოსნია-ჰერცოგოვინას კონფლიქტის მოგვარებაში, კონფლიქტისა, რომელიც მუსლიმ მოსახლეობას შეეხო უშუალოდ.

რაფსანჯანი: სამწუხაროდ, იქ მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ადრეც გვითქვამს, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩამოაშორეს თავისუფლებას და ეროვნული უმცირესობა დაჩაგრული დარჩა.

ჩვენი პოლიტიკა იუგოსლავიის ამ ნაწილთან მიმართებაში გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქციებში მონაწილეობით ხორციელდება. ვეხმარებით და ცდას არ ვაკლებთ, რომ შეწყდეს აქ ომი და დაიწყოს მოლაპარაკება. ვფიქრობ, რომ ამ ომის გაგრძელება არავის სურს.

მომავალშიც, — **თქვა პრეზიდენტმა**, — ჩვენი მონაწილეობა გაეროს ჩარჩოებში გაგრძელდება. მისი აზრი კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრებ მუსლიმთა შესახებ შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: — დაჩაგრულ უმცირესობას უნდა მიეცეს ჭეშმარიტი თავისუფლება და მოქალაქეობრივი უფლებები.

კასტერონი რაფსანჯანის ეკითხება საფრანგეთისა და შვეიცარიის ირანისადმი დამოკიდებულებაზე; — ამ ურთიერთობას კარგს ვერ ვუწოდებთ. როგორ გესახებათ ამ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესების პრობლემა?

რაფსანჯანი: ამ საკითხზე შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ, მაგრამ დრო გვაქვს ცოტა. თუ საფრანგეთის ხელისუფალნი შეწყვეტენ ცრუ პროპაგანდას ირანის მიმართ, ჩვენც კარგი ურთიერთობა გვექნება მათთან.

როლან დიუმა ალჟირთან ურთიერთობის თაობაზე შეეკითხება. რაფსანჯანი უპასუხებს, რომ ირანისათვის ეს საკითხი სერიოზულია. ძალზე არასასიამოვნო მოვლენაა, როდესაც ანგარიშს არ უწევენ ხალხის არჩევანს, გზას, რომელსაც იგი დაადგება. ეს დემოკრატიის აღიარებული პრინციპების უგულვებელყოფაა.

— თქვენ, დემოკრატიის ქვეყნები რატომ არ აქცევთ ამ მომენტს ყურადღებას? — **თქვა მან.**

— ეს უკვე ჩემი შეკითხვაა თქვენდამი.

დიუმა: გიპასუხებდით, მაგრამ დრო, სამწუხაროდ, ამოიწურა.

რაფსანჯანი: დაველოდები თქვენს პასუხს და ახალ შეკითხვებს.

დაწესებული დროის პრობლემა ამ საუბრისასაც წამოიჭრა. მაგრამ „ევრონიუსმა“ მოასწრო და თავისი საქმე გააკეთა.

მოთმინება აღარ არის ყველა სათნოებათა დედა.

როგორც ნახეთ, ტელედიალოგის შეკითხვებიცა და პასუხებიც საკუთარი პოზიციის გულახდილი დემონსტრაცია იყო, საჯაროდ გამოტანა, დაფიქსირება. შეხების წერტილების მოსინჯვაც, რეკოგნოსცირება.

მაგრამ იყო ერთი ზეამოცანა, რომელიც, ჩემის აზრით, სრულად შესრულდა: შეიძლება არ გაიზიარო პარტნიორის მოსაზრება მოლაპარაკების დროს და დაიცვა შენი პოზიცია, მაგრამ უნდა გქონდეს უნარი დაუგდო მას ყური.

ეს უნარი მოსაუბრეებმა სრულად გამოავლინეს.

აი, ამგვარი კონტაქტების ორგანიზებაც არის „კრან-მონტანა ფორუმის“ ერთ-ერთი მთავარი საქმე.

საქართველოს დელეგაციამ ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენა.

ყველა იმ შეხვედრის გადმოცემა, რომელიც კონფერენციის მსვლელობისას ჰქონდა ჩვენს პრემიერს, შეუძლებელია. მაგრამ, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალი აკბარ ველაიათისთან ახლადგათენებულზე სტუმრობისა და საუბრის გახსენება, ნამდვილად ღირს.

მართლაც ახლადგათენებული იყო, დილის რვის ნახევარი.

წინა საღამოს დანიშნული შეხვედრა მინისტრის უსაფრთხოების დაცვის გამო (ასე განგვიმარტა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელმა) ურთიერთშეთანხმებით 17 ივნისის სისხამ დილისთვის გადაიდო.

ველაიათი ძალიან დაღლილი ჩანდა, ჩაშავებული თვალის უპეებით, ფერდაკარგული.

კარებში:

— გუდ მორნინგ! — მასპინძლები.

— სალამ! — ჩვენ.

— სალამ, სალამ!

ბატონმა ოთარ ფაცაციამ მასპინძელს კონფერენციაზე ბრწყინვალე გამოსვლა მიულოცა. ჩვენ დავრწმუნდით, თუ რა პროგრესულ შედეგებს მიაღწია ირანმა. როდესაც მეზობელი ძლიერია, შენც მყარად დგახარ მიწაზე, — თქვა მან.

ველაიათიმ მადლობა გადაუხადა, ბატონი ედუარდ შევარდნაძე მოიკითხა.

მადლობა მოახსენა ოთარ ფაცაციამაც და აცნობა, რომ საქართველოში იმედით ელოდებიან პრეზიდენტ რაფსანჯანის ჩამოსვლას.

ირანის დაინტერესებულ ფირმებთან და კომპანიებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებანი ვაჭრობისა თუ ტრანსპორტის სფეროებში ადასტურებენ, რომ ყინული დაიძრა.

ველაიათი დაინტერესდა ამ ცნობით. ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ საუბარი სასოფლო სამეურნეო, კომუნიკაციის და ზოგიერთ სხვა დარგში თანამშრომლობის პერსპექტივით გამდიდრებულიყო.

მთავარი მაინც ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების საკითხი გახლდათ. ჩვენს დელეგაციას არ დაუმალავს მასპინძლისათვის, თუ რატომაა დაინტერესებული რესპუბლიკა ტრანსეროვნული მაგისტრალის — ევროპა-კავკასია-აზია — საქართველოს დერეფნით გავლის პრობლემით. საკმაოდ დეტალურად გაანალიზდა ნავთობსადენის ჩვენი სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროექტის უპირატესობა: პრაქტიკულად უკვე არსებობს (გასაყვანია მხოლოდ 80 კილომეტრი საქართველოსა და თურქეთს შორის), რეკონსტრუქცია იაფია, ამოქმედდება სწრაფად და სწრაფადვე ამოიღებს დახარჯულ სახსრებს.

ერთ მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირზეც ჩამოუგდო სიტყვა ბატონმა ოთარ ფაცაციამ, რომლის მიცემაზე პრინციპული შეთანხმება უკვე არსებობს და რომელიც ამ ზამთარს განსაკუთრებით დასჭირდება ჩვენს რესპუბლიკას.

ბატონ ველაიათის პასუხიდან გაირკვა, რომ ეს შეთანხმება ოფიციალურ ძალას შეიძენს ირანის პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრის შემდეგ, საქართველოში ვიზიტის დროს.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი დაინტერესდა აფხაზეთის პრობლემით და როდესაც ამომწურავი პასუხი მიიღო (ჩვენმა მკითხველებმა, რასაკვირველია, იციან, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა ამ დღეებში თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების აფხაზეთსა და ზუგდიდის რაიონში შეყვანით. მაშინ ეს ღონისძიებანი მხოლოდ პრინციპულად იყო გადაწყვეტილი და შეთანხმებული), შეკითხვა დასვა:

— რას ელოდება აფხაზი ხალხი?

— ხალხს მობეზრდა ომი და კონფრონტაცია. იგი მოითხოვს პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას და ეს სავსებით ესადაგება საქართველოს ხელისუფლების სახელმწიფო პოლიტიკას. საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საკითხი საბოლოოდ ახალ კონსტიტუციაში ჩამოყალიბდება, რომელიც ხალხმა უნდა მიიღოს. იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მსოფლიო თანამეგობრობის, მათ შორის, ჩვენი მეზობლების აქტიური დახმარებითა და მონაწილეობით მშვიდობიანად მოგვარდება.

— ჩვენ თუ შევძლებთ, აუცილებლად დაგიჭერთ მხარს, — თქვა ველაიათიმ.

— ჩვენ ვგრძნობთ ამ სურვილს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კი ხელშეუხებელია, — უპასუხა ოთარ ფაცაციამ.

დათქმული დროის მიუხედავად, ალბათ, აღმოსავლურმა სტუმართმოყვარეობამ უფლება არ მისცა ალი აკბარ ველაიათის უარი ეთქვა ჩვენთვის ინტერვიუზე.

— როდესაც ქვეყანა თავისუფლებას მოიპოვებს, მას ძალიან ბევრი პრობლემა გაუჩნდება, რომლებიც ტკივილების გადატანით უნდა გადალახოს. უნდა შეინარჩუნო შენი დამოუკიდებლობა და მოერიო პრობლემებს, ანუ გააკეთო ის, რაც დღეს კეთდება საქართველოში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი საერთაშორისო ცხოვრებისა, რომელიც ყველას დაგვეხმარება, ესაა მჭიდრო რეგიონული თანამშრომლობა, რასაც განვახორციელებთ კიდეც ჩვენი რეგიონის ქვეყნები. ასეთი თანამშრომლობის მაგალითებია ეკოს ჩამოყალიბება და კასპიის ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის ინიციატივა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს შეუძლია და კიდეც უნდა შეასრულოს თავისი როლი კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის იდეა ბატონ ოთარ ფაცაციას სიტყვის მთავარი ღერძი იყო. ამაზე მომდევნო მასალაში.

არმაზ სანებლიძე.
კრან-მონტანა. თბილისი.

(დასასრული იქნება)

ხიდები

თანამშრომლობა ვითარდება

ეკოლოგიურად სუფთა ავტომატიზებული სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ინფრასტრუქტურის დამუშავებისა და ფართოდ დანერგვის სამუშაოთა კომპლექსი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსი“ ამ პერსპექტიულ მიმართულებას ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებით ავითარებს.

მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება „საქსპეცტრანსის“ ბაზაზე, ურთიერთ ხელსაყრელ პირობებში, შეიქმნას „საქართველო-რუსეთ-სლოვაკიის მრავალდარგოვანი ერთობლივი საწარმო („გ რ ს-94“)“. მისი დამფუძნებლებია:

საქართველოს მხრიდან „საქსპეცტრანსი“ და ფირმა „იმერი“,

რუსეთის მხრიდან — გაერთიანება „ეკოტრანსსისტემა“, სლოვაკიის მხრიდან — ფირმა „სლოვექსი“.

ერთობლივი საწარმოს შექმნის მიზანია რესპუბლიკაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური კრიზისის დაძლევის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული ანტიკრიზისული პროგრამის („სპეცტრანსი-96“) განხორციელება, აგრეთვე საქველმოქმედო საქმიანობის განვითარება.

სპეცტრანსინფორმი.

ახალი პროდუქცია

ქუთაისის საწარმოო გაერთიანება „აისთან“ არსებულ ფირმა „კოლხში“ დაიწყეს ელექტროღუმელების გამოშვება. დიასახლისებისათვის საოცნებო ეს პროდუქცია სავაჭრო ობიექტებში გამოჩენისთანავე გაიყიდა. მეზობელ ქვეყნებში გამოშვებულ მსგავს ნაკეთობებთან შედარებით გაცილებით ხელმისაწვდომი ფართო მოხმარების ეს საქონელი არც ხარისხით ჩამოუვარდება ცნობილი ფირმების ნაწარმს. წარმატებით წახალისებული კოლექტივი, რომელიც ადრე პლასტმასის სხვადასხვა ნაკეთობებს და ბავშვის სათამაშო ეტლებს ამზადებდა, გაცილებით სერიოზული ამოცანის გადასაჭრელად ემზადება. აგვისტოსათვის აქ მცირე მოცულობის სარეცხი მანქანების სერიულ გამოშვებას დაიწყებენ. თქმა არ უნდა, ამ წარმოებაში სულ ოციოდე ადამიანია დასაქმებული, სიახლისთვის გაცილებით მობილური აღმოჩნდა. როგორც საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ფირმის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, კოლექტივის წარმატების მიზეზი ისიც არის, რომ ძირითადი მომწოდებლები ისევ ქუთაისის საწარმოები არიან.

პრივატიზაციის ლაფსუსები

ეგრე არ არის თაყაო...

საკორესპონდენტო პუნქტში აღშფოთებულ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი მოვიდა და თავიანთი გასაჭირი გაგვაცნო:

— ჩვენი სოფელი, თეთრიწყაროს რაიონის სოფელი ზირბითი, ეკონომიკურად ძლიერი, მსუყე სოფელი იყო. ადგილობრივ და თბილისის ბაზრებში უხვად გაგვქონდა ხორცი, ყველი, კარაქი... სოციალიზმმა სოფელს მწარე ხვედრი არგუნა. ძალით შეგვრეკეს კოლმეურნეობაში და გასწორდა საბან-საზღვრები. მერე კოლმეურნეობები გაამსხვილეს და წიწილივით წაგვაკლეს უფრო დიდ მეზობელ ახალსოფელს. ზირბითში ერთი საზოგადოებრივი ნაგებობაც აღარ დარჩა. მოსახლეობის თანხებით ნაყიდი საშუალო სკოლის ხის შენობაც დაანგრიეს და ახალსოფლის ცენტრში გადაიტანეს, ვინ იყო გამკითხავი, ვინ უგდებდა ყურს ჩვენს გოდებას! პირუტყვის ყოლის ნორმებიც შეგვიმცირეს, სოფელში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ბევრმა მკვიდრმა მიატოვა მამა-პაპური კერა და ლუკმა-პურის საშოვნელად სხვაგან გაიხიზნა, ბევრმაც ბოლომდე გავუძელით.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი იმედები ჩაგვისახა, — აგრძელებენ საუბარს კოლა, ელიკო, გიორგი, შაქრო, გრიშა, ბაბუცა წიკლაურები, მიხეილ წამალაშვილი, ვანო აფციაური და სხვები. — კანონმა პრივატიზაციის შესახებ კი მთლად ფრთები შეგვასხა, რადგან მიწას მიიღებდნენ ისინიც, ვინც აპირებდა კვლავაც დაბრუნებოდა მშობლიურ სოფელს. ასეთი კი ამჟამად ორმოცდაათზე მეტი ოჯახია. სოფელში ბევრი დიდი ოჯახი გაყრას აპირებს, რადგან ერთ ჭერქვეშ ველარ ეტევიან. ამიტომ პერსპექტივისათვის, სოფლის ზრდის თვალსაზრისით, სარეზერვო მიწებიც გვჭირდება.

— მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა, — განაგრძობდნენ უსამართლობით გათანგული ადამიანები, — ჩვენი სოფლის გამორჩეულ სავარგულებს თვალი დაადგეს ახალსოფლელებმა, რომლებსაც გავლენიანი ხალხიც მეტი ჰყავთ რაიონის ხელმძღვანელობაში, მიწის პრივატიზაციის კომისიასაც მათი მკვიდრი შალვა გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენს დაუკითხავად გადაწყვიტეს 24 ჰექტარი სავარგული ახალსოფლელებს უბოძონ ფეშქაშად, რაზეც რაიონის გამგეობამაც დაუკრა კვერი. აღშფოთებულებმა ხმა ამაოდ მივაწვდინეთ რაიონის ხელმძღვანელებს, სოფლის ძველ საზღვრებში აღდგენა მოვითხოვეთ, მაგრამ ცივი უარი მივიღეთ: აქაო და, საზღვრები სადღაა, ბოლოს რაკი ერთ მეურნეობაში იყავით, მიწები ახალსოფლის საკრებულოსა და ყოფილი მეურნეობის მიხედვით განაწილდებაო, 24 ჰექტარი საკმარისი არ აღმოჩნდა, 30 ჰექტარს უნდა დაემშვიდობოთ.

სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი: ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყაო.

ძნელია აუღელვებლად მოუსმინო ადამიანებს, რომელთაც ათადან-ბაბადან ბუნებით ნაბოძები საკუთარი — მიწის წართმევა და სხვა სოფლისათვის გადაცემა ემუქრება. ვურჩიე საკითხის უფრო ობიექტური და ოპერატიული გადაწყვეტისათვის განცხადებით საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტისათვის მიემართათ, დამყაბულდნენ. დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა გურამ ჩიკვილაძემ თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს ბატონ რომან ლალაძიშვილს, რაიონის მიწის რეფორმის კომისიასა და განმცხადებლებს წელს, 3 ივნისს, ოფიციალურად მისწერა:

„თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ზირბითის მცხოვრებლებს მიერ დაყენებულია საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის წინაშე იმის შესახებ, რომ მიწის რეფორმის მიმდინარეობისას ახალსოფლის საკრებულო და მიწის რეფორმის კომისია (სადაც შედის სოფელი ზირბითი) არ ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის ინტერესებს და ზირბითის კუთვნილ სავარგულებს უნაწილებს სხვა სოფლისა და კერძოდ, ახალსოფლის მოსახლეობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სოფელი ზირბითი მიეკუთვნება იმ სოფლების რიცხვს, ჟამთა სიავის გამო გაუქმების პირზე რომ იყო მისული, რომლის აღდგენაზე გასულ წლებში მიღებული იქნა მთავრობის სპეციალური დადგენილება. ცნობილია, რომ სოფელი ზირბითი ისედაც მცირემიწიანია, სადაც ამჟამადაც ძველ ზირბითელ მცხოვრებლებს დაბრუნების სურვილი აქვთ.

იმასთან დაკავშირებით, რომ სრულფასოვნად აღდგეს ძველი ქართული სოფლები, მიზანშეწონილი არ არის სოფელ ზირბითში მიწის ნაკვეთები გამოეყოთ სხვა სოფლის მცხოვრებლებს, რისთვისაც გთხოვთ გაითვალისწინოთ სოფელში შექმნილი მდგომარეობა და მიიღოთ ზომები სოფელ ზირბითის მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად, რომლის პირველი პირობაა თავიანთი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნება“.

რაღაა სათქმელი. პასუხი ყოველმხრივ დასაბუთებულია ავტორიტეტული უწყების ავტორიტეტული ხელმძღვანელის მიერ და მისი შეუსრულებლობა ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს. რაიონის ხელმძღვანელები ახალი კომისიის გამოყოფით დაემუქრნენ ზირბითელებს, რისი აუცილებლობაც აშკარად აღარ არსებობს. გაგულისდნენ ახალსოფლის საკრებულოს გამგებელი ა. კობაიძე და საკრებულოს მდივანი ს. ქავთარაძე და ზირბითის მიწის კომისიის თავმჯდომარეს შალვა წიკლაურს მისწერეს (სტილი მთლიანად დაცულია).

„ახალსოფლის სოფლის საკრებულო გაცნობებთ, რომ ვერ ხერხდება საპრივატიზაციო მიწების განაწილება სოფ. ზირბითში, ახალსოფელში და გოხნარში იმის გამო, რომ სოფ. ზირბითის მოსახლეობა მოითხოვს სოფლის ძველი საზღვრების აღდგენას, რის გამოც სოფ. ახალსოფლის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად სოფლის მიმდებარე 24 ჰექტ. მიწის ფართობი თ/წყაროს რაიონის გამგეობის 1993 წლის 31 მარტის № 34 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია, და შეთანხმებულია მიწის რესურსების და მიწის კადასტრის დეპარტამენტთან.

გაცნობებთ, რომ საქ. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 თებერვლის № 148 დადგენილებით მე-2-ე პუნქტის თანახმად გაუქმებულია 1992 წლის 10 მარტის № 280 დადგენილების მე-4 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა სოფლებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შორის არსებული საზღვრების გადასინჯვას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ შექმნილი მდგომარეობა და უზრუნველყოთ მთავრობის დადგენილების შესაბამისად საპრივატიზაციო მიწების კანონიერად განაწილება, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება სოფ. ზირბითის მიწის რეფორმის კომისიას“.

ამ აბდაუბდა, გაუმართავ ტექსტში, ერთი რამ ნათელია: საკრებულოს მესვეურნი არ მალავენ თავიანთ ავ ზრახვას, სოფელს წაართვან მისთვის ღვთისაგან მიკუთვნებული მიწის ფართობი. იშველიებენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ, ცხადია, არასწორ გადაწყვეტილებას, თუ კი ასეთი არსებობს, რომელიც, თურმე, არაფრად აგდებს სოფლების საზღვრებსა და მთლიანობას. ასეც რომ იყოს, ზირბითს ამ ცვლილებას ვერ მიუსადაგებენ, რადგან, როგორც საყოველთაოდ ცნობილია და მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გურამ ჩიკვილაძის წერილშია აღნიშნული, იმავე მთავრობის დადგენილებით დასახულია ზირბითის აღორძინების პროგრამა, მიწის წართმევით კი სოფელი არა თუ აღორძინდება, საბოლოოდ დაილუპება, სხვა გაუთვალისწინებელი შედეგებიც არის მოსალოდნელი. პირდაპირ ვიტყვით: შექმნილმა ვითარებამ ისე დაძაბა მდგომარეობა ორ სოფელს შორის, სისიკვდილოდ მიიწევენ ერთმანეთზე. არავის არა აქვს უფლება ხელყოს სოფლის ტერიტორიული მთლიანობა და მისი მიწის სავარგულები სხვებს გადაუნაწილოს.

ზირბითის შემთხვევა კონკრეტულად იმას მეტყველებს, რომ ჩვენში კვლავ მძლავრობს წარსულში დამკვიდრებული სიმახინჯე და მანკიერება, ძალადობა, უპრინციპობა და ბიუროკრატია. რაკი ზირბითი კომუნისტური რეჟიმის სისასტიკეს გადაურჩა, სუვერენულ საქართველოში მას უნდა მიეცეს თავისუფალი განვითარების საშუალება. თავისი ბედი სოფელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რასაც ზემდგომმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ.

დავით გიწაძე.

სააქციო კომერციული ბანკი

„არაგვი ბიზნეს ბანკი“

აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას შეღავათიან პროცენტებში.

კრედიტების გაცემა წარმოებს ყოველ დღე,
გარდა შაბათისა და კვირისა, 15-00 საათიდან 17-00 საათამდე.
ბანკის მისამართია:
ქ. თბილისი, ვ. ფშაველას პრ. № 16
ტელ: 37-44-51, 93-25-94.

თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს განყოფილებათა შემდეგ სპეციალობებზე:

1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
2. საფინანსო-საბანკო საქმიანობა,
3. წარმოების ეკონომიკა,
4. კომერციული საქმიანობის მენეჯერი,
5. საბირჟო საქმე,
6. ბიზნესის სამართალმცოდნეობა,
7. ისტორია.

ინსტიტუტში მომზადდება საგარეო-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობებისათვის მაღალკვალიფიციური ეკონომისტები, იურისტები და ისტორიკოსები, მენეჯერის კვალიფიკაცია მიენიჭებათ საწარმოო, კომერციულ და საბანკო საქმიანობაში.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა საშუალო ან საშუალო-სპეციალურ განათლებამიღებულ პირს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. ატესტატი ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. სამედიცინო ცნობა ფორმა № 086;
5. ოთხი ფოტოსურათი (3X4);
6. პასპორტსა და მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება იწარმოებს დღიდან გამოქვეყნებისა 20 ივლისამდე, ყოველდღე, კვირის გარდა, 11-დან 16 საათამდე.
მისაღები გამოცდები მოეწყობა 21 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ შემდეგ საგნებში:
1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა ტესტებით), მათემატიკა (წერა ტესტებით), გეოგრაფია (ზეპირი);
2. საფინანსო-საბანკო საქმიანობის მენეჯერის, საბირჟო საქმის, წარმოების ეკონომიკის, კომერციული საქმიანობის მენეჯერის სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა ტესტებით); გეოგრაფია (ზეპირი); მათემატიკა (წერა ტესტებით);
3. ბიზნესის სამართალმცოდნეობის (იურიდიული) ფაკულტეტზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა ტესტებით); სამართალმცოდნეობა (ზეპირი); ისტორია (ზეპირი);
4. ისტორიის ფაკულტეტზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა ტესტებით), ისტორია (ზეპირი);

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სწავლის საფასურის გადახდა შეუძლიათ, ნაღდი ანგარიშითაც და გადარიცხვითაც, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს, ჩაირიცხება უგამოცდოთ II კურსზე.

სწავლების ვადა 5 წელიწადია. სწავლების მაღალი დონის დასამკვიდრებლად ინსტიტუტში მოწვეული არიან თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფესორ-მასწავლებლები, ლექციებს წაიკითხავენ მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯმენტისა და საბაზრო ეკონომიკის ცნობილი საზღვარგარეთელი სპეციალისტებიც.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის ადმინისტრაციას მისამართზე: თბილისი, მირცხულავას ქ. № 4 (22-ე საშ. სკოლის შენობაში). ტელეფონი: 34-33-09, 34-18-59, 34-76-69.

ტრანსპორტი: მეტრო დიდუბე, ტრამვაი № 10, ავტობუსი 115, 120 ტროლეიბუსი № 19.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ

პროფესორ ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლის და ეკონომიკის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას
1994-95 სასწავლო წლისათვის.

ინსტიტუტი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის იურისტებს და ეკონომისტებს. სწავლით და ყოფაქცევით გამორჩეული სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის საფასურისაგან.

სწავლება ქართულ და რუსულ ენებზეა.

საბუთები მიიღება 25 ივნისიდან 9 ივლისამდე. ჩარიცხვა მოხდება ტესტირებული გამოცდით.

ინსტიტუტის მისამართია:
ლადო ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ქუჩა № 28.
ტელეფონი: 93-29-22.

P.S. ინსტიტუტის სასწავლო პროგრამას გაცნობილმა ამერიკელმა და იაპონელმა სპეციალისტებმა ინსტიტუტის დამაარსებელი პროფესორი ჯამბაკურ ბაქრაძე მიიწვიეს კიოტოში (იაპონია) გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე.

ამავე ინსტიტუტის მიერ დაფუძნებულია ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

PIRELLI

„პირელის“ ფანტასტიკური, ახალი

საბურავები

უნივერმაღ „თბილისში“
I სართულზე, უშანგი ჩხეიძის ქ. №2-ში
და თბილისის სხვადასხვა მაღაზიებში.
ფასები ყველგან ერთია.

Pirelli —
თქვენი უსაფრთხოების გარანტია.

შპს „ბიმ“-თან არსებული სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის.

სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია. სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდები. სასწავლებელი მუშაობს ბავშვთა № 1 საავადმყოფოსა (ძმები ზუბალაშვილების (ყოფილი ათარბეგოვის ქუჩა № 48) და მე-9 პოლიკლინიკის (ქიაჩელის ქუჩა 18) ბაზაზე. ორივე ბაზა მეტრო რუსთაველთანაა.

სწავლება ფასიანია.
საბუთების მიღება გრძელდება
20 ივლისამდე.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ
სასწავლებლის ადმინისტრაციას –
ბავშვთა პირველი კლინიკური
საავადმყოფო. ძმები ზუბალაშვილების
ქუჩა № 48 ყოველდღე,
გარდა შაბათისა და კვირისა,
11 სთ-დან 14 სთ-მდე.

---

*გამოვიდა საგადასახადო კანონმდებლობის
მეორე და მესამე ტომები

საგადასახადო კანონები_ინსტრუქციები

წიგნების შეძენა შეგიძლიათ მისამართებზე:
ბათუმში: ფარნავაზ მეფის 120. საფონდო სახლი „ბათუმი“
ქუთაისში: წმ. ნინოს 2. ბანკ „საქართველოს“ შენობა.
თბილისში: მაჩაბელის 8. მაღაზია „საუნჯე“ (ოპერის პირდაპირ). ტელ.: 93-65-07; 23-39-76

ვყიდი

4 კვ. მ. ფართობის ჯიხურს მეტრო დელისთან;
3,5 ოთახიან ბინას მეტროდან 15 წუთის სავალზე,
თემქის IV მიკრორაიონში 3500 დოლარი,
ტელ: 72-27-58, 39-68-74.

World Food Programme | მსოფლიო სასურსათო პროგრამა | Всемирная Продовольственная Программа

Caucasus Regional Office

WFP/GRG/0232
PER 30/ADV/IO

Public Advertisement

Vacancy: National Information Officer

The United Nations World Food Programme's Country Office Georgia advertises a vacancy for the newly established post National Information Officer with duty station Tbilisi.

The workload of the National Information Officer will include overall information, monitoring and reporting on WFP activities in the Country and in the Caucasus region as well as public relations, liaison with Government Authorities, other UN Agencies, PVOs/NGOs and other WFP counterparts.
As required, the person selected would be also be expected to assist in food programming, distribution and reporting.

Essential requirements:
- University degree or equivalent in journalism or social sciences
- minimum five years work experience in a related work field
- Dynamism, management skills, ability to liaise with persons of various cultural backgrounds
- excellent language skills in English, Georgian and Russian
- ability to write clear and concisely in above languages
- use of word - and dataprocessing equipment

Desirable requirements:
- knowledge of WFP procedures, rules and regulations

Remuneration:
- will be in line with applicable UN - regulations for National Officers (A).

Women are encouraged to apply.
Only written applications will be taken into consideration and should be addressed to the World Food Programme Caucasus Regional Office not later than 10 July 1994

Tbilisi, 25 June 1994

91, Uznadze St.
Tbilisi, 380002 Georgia
Telephone: (78832) 951634
Satellite phone & fax:
(49) 5151-13059/13086, Ext. 126

7, Ingorokva St., Room 524
Tbilisi, Georgia
Telephone: (78832) 932670, 984034
Satellite phone & fax:
(49) 5151-13059/13086, Ext. 116

The Food Aid Organization of the United Nations System

ერთი პირის საწარმო
ფირმა „ASCO“
აგრძელებს ანაბრების
მიღებას
მოსახლეობისაგან

1-2 თვით 15 პროცენტი,
3-4 თვის ვადით
20 პროცენტი
ყოველთვიური გაცემით.
ჩვენი მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი 49-ა, სპორტკომიტეტის შენობაში.
ტელ: 29-29-05.

XEROX

The Document Company
ოფიციალური წარმომადგენელი

პრესტიჟი
უმაღლესი ხარისხი
გარანტია
სერვისი

ტელეფონი 98-36-31
ფაქსი 98-96-58
ტელექსი 212958 ESABI
E-mail: esabi@iberiapac.ge
სერვის-ცენტრი 98-94-78
„ესაბი-პრეს“ 98-94-77

რეკლამები დამზადებულია
ფირმა „დრონის“
კომპიუტერულ ცენტრში.

ბულგარეთის «მზიანი სანაპირო»

გიწვევთ დასასვენებლად. ფასი 350 დოლარი,
მიმართეთ ფირმა „დიმოს“.
ტელ: 98-23-32, 29-23-55.

ბინაზე მომსახურე მრავალდარგოვანი ფირმა

„მარები“

გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებას:

I. საყოფაცხოვრებო ტექნიკის მომსახურების განყოფილება:

1. მექანიკური საქსოვი დაზგების მონტაჟი, შეკეთება;
2. საკერავი მანქანების შეკეთება;
3. საბეჭდი მანქანების შეკეთება;
4. მაცივრების შეკეთება;
5. სარეცხი მანქანების მონტაჟი, შეკეთება;
6. ჭურჭლის სარეცხი მანქანების შეკეთება;
7. ავეჯის შეკეთება, რესტავრაცია;
8. პიანინოს, როიალის ექსპერტიზა, გაწყობა, შეკეთება;
9. წყლის ელექტრო გამაცხელებლების მონტაჟი;
10. ელექტრო ქურების მონტაჟი, შეკეთება.

II. სამშენებლო-სარემონტო განყოფილება

1. შპალიერის, ბიაზის გაკვრა, სამღებრო სამუშაოები;
2. კაფელის, მეტლახის დაგება;
3. ოთახების, შენობების ელექტრო დაქსელვა;
4. იატაკის დაგება, მოხვეწა, გალაქვა.

ცნობების და შეკვეთებისათვის დარეკეთ:
93-20-10, 10-დან 15 საათამდე.
კვირის გარდა.

თბილისის ზღვაზე იყიდება

სპორტულ-ტურისტული იახტა
4 საწოლიანი კაიუტით.
96-04-26.

მაინც, როგორ ვმართოთ?!

...ამას წინათ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის, ბატონ ოთარ ხუფენიას წერილი, რომელიც მაიძულებს ...რუთვნილ მკითხველს მოსახლეობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვესაუბრო.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციამ 1990 წლის 10 დეკემბერს მიიღო ერთობლივი დადგენილება **„1991 წლის საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის პენსიებით და დახმარებებით უზრუნველყოფის შესახებ"**. დადგენილების თანახმად, წარმოება-დაწესებულებებისათვის, კოოპერატივებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის (საკუთრების ფორმის მიუხედავად), სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანების ტარიფი განისაზღვრა ხელფასის 26-37 პროცენტით (მეურნეობრიობის ხასიათიდან გამომდინარე), ხოლო ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის მეორე აბზაცში სრულიად ნათლად წერია: „მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანი დაწესებულია ხელფასის ერთი პროცენტი".

ამ დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა ფულადი შენატანების (ხელფასის პროცენტი) დაკავების მექანიზმი, ამავე დადგენილების მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის გამგეობას, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, საბიუჯეტო-სოციალურ ბანკს, შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს 1991 წლის 10 იანვრამდე უნდა შეემუშავებინათ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის წარედგინათ საპენსიო ფონდის შექმნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების პროექტები. სამწუხაროდ, პროექტების შექმნა ყველას დაავიწყდა და ასე განუკითხავად, დღემდე რესპუბლიკის თითოეულ მომუშავეს ექვითება ხელფასის 1 პროცენტი, მათ შორის, მომუშავე პენსიონერებსაც!

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ ამ შენატანების „გადარიცხვა" ხდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან რესპუბლიკურ ფონდში და არა საპენსიო ფონდში, რომელიც დღემდე არ შექმნილა და რომელსაც უთუოდ სათანადო დებულებით უნდა განესაზღვრა ამ ფონდის არსი და მისი მოქმედების მექანიზმი. ეს იქნებოდა იმის გარანტი, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშა-მოსამსახურეებს პენსიაზე გარკვეული დანამატების სახით უკან დაუბრუნდეთ ეს თანხები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი წამოწყება მთლიანად კარგავს აზრს და ამ ძნელბედობის ჟამს კიდევ უფრო ამძიმებს მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.

აღნიშნულ სავალდებულო შენატანს რომ არაფერი აქვს საერთო საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან, ადასტურებს თვითონ ამ ფონდის დებულება, რომელიც საქართველოს მთავრობის 1991 წლის 30 მარტის სპეციალური დადგენილებით არის დამტკიცებული: დებულების I, II და III თავებში ამომწურავად არის მოცემული ფონდის ზოგადი დებულებანი, მისი ამოცანები და ფუნქციები, მისი უფლება-მოვალეობანი, სადაც უბრალო მინიშნებითაც კი არსად არის ხსენებულ მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შესატანები. ამის მიუხედავად, აღნიშნული დებულების მე-4 თავის („ფონდის სახსრები") მე-5 პუნქტში სრულიად მოულოდნელად მაინც წერია — „სავალდებულო სადაზღვევო შენატანების ამოღება", რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანის (ხელფასიდან 1 პროცენტის ოდენობით) უადგილობას და ხელოვნურობას.

მიგვაჩნია, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ასეთი სავალდებულო ფონდების შექმნა ნაადრევია და თუ ის ვინმეს მაინც აუცილებლად მიაჩნია, მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

პრობლემა

რაც შეეხება სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის ბატონ ოთარ ხუფენიას განმარტებას, რომ: „ხელფასიდან ერთპროცენტიანი სავალდებულო სადაზღვევო შესატანის დაწესება მთავრობის მიერ 1990 წელს მოხდა ერთდროულად ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის იმავე ოდენობით შემცირების პირობებში", ბატონი ოთარი, ალბათ, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თითქოს აღნიშნული ღონისძიების გატარებით, მომუშავეთა ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესებულა! ეს, რბილად, რომ ვთქვათ, ერთობ უსუსური მსჯელობაა. დაბეჯითებით შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადს არაფერი აქვს საერთო სავალდებულო სადაზღვევო შესატანთან და თუ მაინც ასეთ პარალელს გავავლებთ, ამ შემთხვევაში, „ერთი არ უდრის ერთს", ვინაიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებას თავისი წესები აქვს და ის ერთი პროცენტი, რომლითაც საშემოსავლო გადასახადები შემცირდა, სულ სხვა თანხაა, ხოლო სრული ხელფასის ერთი პროცენტი კი სხვა. ამას გარდა, თუ მთავრობამ მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადები ერთი პროცენტით შეამცირა და იმავდროულად ხელფასიდან სავალდებულო სადაზღვევო შესატანი ასევე 1 პროცენტის ოდენობით დააწესა, მაშინ ეს მთავრობის მხრიდან ხალხზე ზრუნვა კი არა, მათი აშკარა მოტყუებაა. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მთავრობას მსგავსი რამ არ გაუკეთებია და არც შეიძლებოდა გაეკეთებინა, ამდენად, ამ საკითხზე ბატონ ოთარ ხუფენიასეული ინტერპრეტაცია ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანები უნდა გაუქმდეს და საქართველოს მოსახლეობა განთავისუფლდეს ახალი ტიპის ბეგარისაგან, ანუ მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანისაგან, რომლის გადახდაც დაწესებულია უშუალოდ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან. ამით, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გადადგამს კიდევ ერთ კეთილ ნაბიჯს, რომელიც მიზნად ისახავს მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მით უმეტეს, რომ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების გამგეობამ, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების სამართალმემკვიდრემ, 1993 წლის 9 ივნისის დადგენილებით თავისი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოხატა და დასვა საკითხი, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტს, ჯერ კიდევ 1993 წლის 1 ივლისიდან, ძალადაკარგულად ჩაეთვალა მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანები ხელფასის 1 პროცენტის ოდენობით.

რაც შეეხება სოციალური დაზღვევის სამსახურის პროფკავშირებისათვის დაბრუნების საკითხს, ჩვენ მთელი სოციალური დაზღვევის მართვის სახელმწიფო ფუნქციების ხელში აღებას კი არ მოვითხოვთ, როგორც ბატონ ოთარ ხუფენიას მიაჩნია, **არამედ ვითხოვთ პროფკავშირების სოციალური პროგრამების (რომლებიც უზრუნველყოფენ პროფდაავადებების დადგენას, ტექნიკური ინსპექციის საქმიანობას, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბაზების, პროფილაქტორიუმების, სანატორიუმ-კურორტული მკურნალობის ორგანიზაციას) დაფინანსებლად, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის მიერ სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე, ჩვენს დარგში შემავალმა ყველა სამინისტრომ, უწყებამ, დეპარტამენტმა, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, (საკუთრების ფორმის მიუხედავად), სახელმწიფოს მიერ უკვე დაწესებული სავალდებულო სოცდაზღვევის შენატანებიდან, ტარიფით ხელფასის 26-27 პროცენტიდან (მეურნეობრიობიდან გამომდინარე), ყოველთვიურად ჩარიცხოს 10-12 პროცენტი, რაც სრულიად შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის № 22 ბრძანებულებას.**

ჩვენი აზრით, ფრიად საშურია სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობამ გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზე:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის 1990 წლის 10 დეკემბრის № 743 დადგენილება „1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის პენსიებითა და დახმარებებით უზრუნველყოფის შესახებ" — ძალაში იყო მხოლოდ 1991 წელს, როგორც ეს მის სათაურშივეა მოცემული, თუ იგი „განუსაზღვრელი ვადით" მოქმედებას ითვალისწინებდა?

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებდა თუ არა საპენსიო ფონდის შექმნას?

ამავე დადგენილებით სათანადო უწყებებს ჯერ კიდევ 1991 წლის 10 იანვრამდე უნდა შეემუშავებინათ თუ არა საპენსიო ფონდის შექმნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების პროექტები?

შექმნილია თუ არა დღემდე საქართველოში საპენსიო ფონდი?

მთავრობის რომელი დადგენილებით ან გადაწყვეტილებით „მიედინება" მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანები ხელფასიდან 1 პროცენტის ოდენობით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში? ეს შენატანები ხომ საპენსიო ფონდისათვის იყო განსაზღვრული?

თუ საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობას მართებულად მიაჩნია სავალდებულო სადაზღვევო შენატანების ხელფასიდან 1 პროცენტის ოდენობით თავიანთი ფონდის სასარგებლოდ ამოღება, მაშინ რატომ ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები ეს შენატანები ამ ფონდის დებულებაში?

რაიმე ფორმით მაინც რატომ არ არის განმარტებული ფონდის ზოგად დებულებაში ან მის ამოცანებსა და ფუნქციებში ამ გადასახადის (ხელფასიდან 1 პროცენტის) არსი და მნიშვნელობა?

რომელი სტრუქტურა უნდა მივიჩნიოთ უფრო მართებულად. ის რომ, ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილებით, მცირე საშტატო ერთეულით, დარგობრივი პროფკავშირები მართავდნენ აღნიშნულ სფეროს, თუ დღევანდელი, ათჯერ გაზრდილი შტატებით რაიონულ-სტრუქტურულ მართვაზე აგებული ფონდი?

სპარტაკ ხატიაშვილი.

კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

უძვირფასესი რელიკვია

ამ სურათზე რევაზ ინანიშვილი და ნუგზარ შატაიძეა აღბეჭდილი. ახლა ველარ იხსენებს ნუგზარი, რა მომენტია ეს, რაზე საუბრობენ ქართული სიტყვის დიდოსტატი და ახალგაზრდა მწერალი. იქნებ, სულაც, მწერლობაზე?

— არა, მწერლობაზე, საერთოდ, ნაკლებად ვსაუბრობდით — მეუბნება ნუგზარი — ავიღებდით, იქვე, კინოსტუდიასთან, სასადილოში, ორ ბოთლს რვა ნომერს, მწვადს, პურს, მწვანილს... მივსხდებოდით კუთხეში და ვინმეს, შემთხვევით, ყური რომ დაეგდო ჩვენი ლაპარაკისათვის, ნაღდად კალატოზები, ხუროები ან აგრონომები ვეგონებოდით... (ყვავილებზე, მცენარეებზე საუბარი განსაკუთრებით იტაცებდა ბატონ რეზოს). ძალზე დავახლოვდით კინოსტუდიაში, მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში... ერთხელ მეუბნება: კაცო, დედაჩემმა მკითხა, ვინ არის ეს შატაიძე, სულ შენნაირად რომ წერსო?

შემატყო, რომ ვიუხერხულე, მომესიყვარულა — ახლა, შენ, კი არ გეწყინოს ეგაო...

რა უნდა მწყენოდა, პირიქით —ჩემზე ბედნიერი, არავინ მეგულებოდა იმ წუთას. არ ვმალავ: ბატონი რეზოს გავლენა მართლაც იგრძნობა ჩემს ნაწერებში...

იგი ბევრი რამით არის ჩემთვის სამაგალითო, თუნდაც, ქართულ სიტყვასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით... როგორ ეძებს, როგორ არჩევს, როგორ ესათუთება ყოველ სიტყვას...

— საინტერესოა, შენ როგორღა მუშაობ, ნუგზარ?

— მძიმედ-მძიმედ.. ერთი აბზაცის გარანდვას, შეიძლება, მთელ დღეს მოვუნდე... შარშან, ჩემმა დირექტორმა (გამომცემლობა („მერანში" ვმუშაობ პროზის განყოფილების გამგედ), ბატონმა გურამ გვერდწითელმა მითხრა — მოდი, შენი ორმოცდაათი წლისთავისათვის, მოამზადე ერთტომეული და გამოვცეთო... მადლობის მეტი რა მეთქმოდა, მაგრამ, რომ ვიფიქრე, როგორ სათითაოდ უნდა გადამეწერა ყოველი მოთხრობა (ჩემი სტილი არ არის წინა კრებულიდან გვერდების ამოხევა, ქაღალდზე დაწებება და გამომცემლობაში მზამზარეული მიტანა ასაწყობად), მერე, როგორ უნდა გადამეცა ეს ამოდენა ხელნაწერი მბეჭდავი-მემანქანისათვის, რომელიც უკვე ოთუზბირს იღებს თითო გვერდის დაბეჭდვაში, ნაღდად ვზარალდებოდი, იმდენ ჰონორარსაც ვერ ვიღებდი, მბეჭდავის ვალები გამესტუმრებინა, ამიტომ უარი ვთქვი გამოცემაზე... რა ვქნა, თუ რაიმე სახეიროს დავწერ, ადგნენ და ჩემმა შვილებმა გამოსცენ... ჯერჯერობით, წიგნისთვის, მაინც არავის სცხელა საქართველოში...

— სულ ასე ხომ არ იქნება, შე კაცო...

— არა მგონია, ჩვენ მოვესწროთ და იმიტომ ვთქვი, შვილებმა გამოსცენ-მეთქი... მე რომ დეკემბერ-იანვრის ამბები და გადამწვარი რუსთაველი გამახსენდება, თითქოს ყველაფრის იმედს ვკარგავ... რა იყო ეს?!

— ეგ უვერტიურა იყო...

— მართლაც... თავისუფლების მოედანზე, ზედ ლეონიძის ქუჩის კუთხეში ვცხოვრობდით.., გასწორებულია დღეს იქაურობა... რა თქმა უნდა, დავიზაფრეთ, ქუჩაში დავრჩით მთელი ოჯახი და ისევ მწერალთა კავშირმა და გურამ ფანჯიკიძის გულისხმიერებამ მიშველა — გამომიძებნეს დროებითი ბინა, მაგრამ დღემდე ვერ მომინელებია ჩემი უზარმაზარი ბიბლიოთეკის დაწვა... ჩემს წიგნს ვინ დაეძებს, ისიც კი აღარ დამრჩა.., აი, თუნდაც, რომ გისახსოვრო... საკვირველი ის არის, რომ ამ ჩემს ბიბლიოთეკას მიემატა პირველი საშუალო სკოლის უნიკალური ბიბლიოთეკაც, სადაც ხშირად ვიჯექი ხოლმე ჩემთვის (იმ დროს სკოლაშიც ვმუშაობდი) და ვკითხულობდი უიშვიათეს წიგნებს, გამოჩენილ ქართველ პედაგოგთა, საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერებს... დაიწვა ყოველივე... ასე დავრჩი კაცი — უწიგნური (პირქუშ სახეზე წამით ღიმილი ეფინება).

— შენს ნაწერებში ქართლის სურნელია, მისი სოფლის, მისი ადამიანების კოლორიტია, იქაური ხარ?

— თანაც — ძირძველი... ჩემი მამა-პაპა ნოსტესთან რომ სოფელია — ახალციხე, იქიდან იყო... მე კი თბილისელი მეთქმის — სვანეთის უბნელი... სოფელში არდადეგების პერიოდში ჩავდიოდი ხოლმე და, თუ დღეს რაიმეს ვწერ იმ გარემოზე, ეს, ძირითადად, მაშინდელი სურათებია...

—. ერთგვარი ნოსტალგიური სურათები, არა?..

— მაშ...

— მაინც, როგორ დაიწყე წერა?...

— ეგ აღარ მახსოვს, მაგრამ ჩემთვის ვჯახირობდი ხოლმე... არავითარი კავშირი არ მქონია ჰუმანიტარულ დარგთან — ვსწავლობდი „გპი"-ში, მერე უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, ვმუშაობდი თბოტექნიკოსად „საქენერგოში", მოვიარე ქვეყანა, მთელი საქართველო... ერთ დღეს ჩემი ძმაკაცი ირაკლი ბერიაშვილი მეუბნება: — წამოდი, ბიჭო, „ლელოში" ადგილია, იქნებ მიგიღონ და ჟურნალისტების, მწერლების სამყაროს დაუახლოვდეო... ისე შემიღიტინა — დავთანხმდი, ეტყობა, მაინც სულმა წამძლია... მიმიღეს „ლელოში", ვბეჭდავდი კიდეც მასალებს... მერე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში" გადავედი, მერე კინოსტუდიაში..

ღმერთო, რა ხალხი გავიცანი... გულის სითბო არავის დაუკლია, რა დამავიწყებს რეზო თაბუკაშვილის, რეზო ჭეიშვილის ამაგს, ქართული სიტყვის მადლი გურამ გოგიაშვილმა მაგრძნობინა, ახლა, ჯანსულ ჩარკვიანი... მან დამიბეჭდა პირველად „ცისკარში"... რა ხალხი იყო იქ, რა ყურადღება, რა გულისხმიერება... გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, გურამ ფანჯიკიძე, გივი ძნელაძე, კარლო კობერიძე...

ჩემი „სამოცდაათიანელები"

ერთხელ ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ — „ლიტერატურული საქართველოს" მაშინდელმა რედაქტორმა — დამინახა, თავისთან მიხმო და მითხრა — მოთხრობა მომიტანეო. ახალი არაფერი მაქვს მეთქი. დაწერე და მომიტანეო... ასე ძალით დამაწერინა და დამიბეჭდა ერთხელ, მეორედ, მესამედ... წიგნი გამომივიდა... ეე... სადღაა ის ურთიერთობები...

— ამჯერად, რაზე მუშაობ?

— რა ვიცი... ვწერ რაღაცეებს... დავბეჭდე კიდეც, მაგრამ სჭირდება ეს ვინმეს? სტიმული დაიკარგა... ბოლოსბოლო, მწერალი ხომ მკითხველისთვის იჯხება.., მკითხველი კი სადღაა?.. ხალხმა თავი როგორ გაიტანოს, იმაზეა გამოცადინებული... ვნახოთ... იქნებ, თანდათან რაიმე გვეშველოს...

* * *

თავის ორმოცდაათი წლის ასაკში ნუგზარ შატაიძე ავტორია რამდენიმე წიგნისა, პიესებისა, კინოსცენარებისა, რომელთაც არც კრიტიკოსთა გულმხურვალე შეფასება აკლია და არც მკითხველის.

ცხოვრებამ გამოჭედა, გამოაწრთო, უსაშველო სევდა და ნაღველიც ჩააწვეთა და მე, პირადად დიდად მიხარია, რომ მის ჭეშმარიტ პროზას დღეს საქართველოში ამდენი თაყვანისმცემელი ჰყავს.

...სურათი კი — გადაღებული დიდ ქართველ მწერალთან — ყოველთვის უძვირფასესი რელიკვია იქნება ნუგზარისათვის. მაინცადამაინც არ უნდოდა მისი გამოქვეყნება — რა ვიცი, ვინ როგორ იფიქრებსო... ბოლოს დამყაბულდა: კიდევ ერთხელ გაახსენდება ქართველ მკითხველს რეზო ინანიშვილიო...

ვილენ მარდალეიშვილი,

გასტროლები

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ რუსთაველის თეატრისგან"...

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დღეებში დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც სამი კვირის განმავლობაში გასტროლებს მართავდა ვახტანგოვის სახელობის თეატრში. მოსკოველმა მაყურებელმა რუსთაველელთა ოთხი სპექტაკლი იხილა — ბერტოლტ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე" და „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", დიკენსის „საშობაო ზღაპარი", დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება". პირველი ორი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა, „საშობაო ზღაპრის" დამდგმელი რეჟისორები არიან ოთარ ეგაძე და ლევან წულაძე, კლდიაშვილის პიესის დადგმა კი ანდრო ენუქიძეს ეკუთვნის.

მართალია, რუსთაველელთა ამჟამინდელი გასტროლები ფართოდ არ ყოფილა რეკლამირებული, მაგრამ ქართული თეატრის სპექტაკლები მაინც საგულისხმო მოვლენად იქცა. სათეატრო ხელოვნების სპეციალისტთა და მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა თეატრის ბოლოდროინდელმა ნაწარმოებებმა, რაც, ალბათ ასახვას პოვებს მოსკოვურ პრესაში და რომლის გაცნობის შესაძლებლობა ჩვენც გვექნება. რუსთაველის თეატრის გასტროლებს მოსკოვში დაემთხვა თეატრალური კვლევის საერთაშორისო ფედერაციის (FIRT) მე-12 მსოფლიო კონგრესი, რომელშიც მრავალი ქვეყნის თეატრის მკვლევარი მონაწილეობდა, ბევრი მათგანი გაეცნო რუსთაველის თეატრის სცენურ ქმნილებებს, განსაკუთრებით გამოყოფდნენ რობერტ სტურუას „სეჩუანელ კეთილ ადამიანს". კონგრესის შემაჯამებელ სხდომაზე ერთმა ამერიკელმა თეატრმცოდნემ ასეთი შეფასება მისცა მას: „სეჩუანელი კეთილი ადამიანი" ეს ის თეატრია, რომელსაც ჩვენ ყველანი ვოცნებობთ, როცა არ არის პური, არ არის შუქი, არ არის სითბო, მაშინ ჩვენ უნდა ვისწავლოთ რუსთაველის თეატრისგან როგორ უნდა მუშაობა და მადლობა უნდა გადავუხადოთ მათ".

სასიამოვნოა, რომ ამ გასტროლებმა მხოლოდ მსოფლიოში სახელგანთქმული რობერტ სტურუას სახელი კი არ შემოსა ერთხელ კიდევ დიდებით, არამედ წარმოაჩინა ქართული თეატრის ახალი, იმედისმომცემი სახელები სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნებაში, ესენი არიან თეატრალური ახალთაობა, რეჟისორები ლევან წულაძე, ოთარ ეგაძე, ანდრო ენუქიძე, მსახიობები — ნინო კასრაძე, ლელა ალიბეგაშვილი, ნანა შონია, ნატო მურვანიძე, ნანა ხუსკივაძე და სხვები.

რუსთაველის თეატრის დასი უკვე მშობლიურ ქალაქშია, მხოლოდ ბატონი რობერტ სტურუა არ ჩამოჰყოლია მათ. მოსკოვიდან იგი გაემგზავრება ისრაელში, სადაც მიწვეული არის სპექტაკლის დასადგმელად. ათიოდ დღეში რობერტ სტურუა თბილისში დაბრუნდება და მასთან ვრცელ საუბარს მაშინ შემოგთავაზებთ.

გიორგი ლალიაშვილი.

როცა იკარგება ხსოვნა...

თემურ აბულაშვილის ერთი მოთხრობის გამო

შემძრა თემურ აბულაშვილის ნოველამ „1992 წლის ფებრუართი".

თითქოს მარილი მოაყარა ღია ჭრილობას, რათა უფრო მწვავედ ვიგრძნოთ ტკივილი: ხალხს არ უნდა მიეცეს საშუალება მოიშუშოს, ვიდრე დაკარგულია სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა. ვიდრე ჭრილობა ღია იქნება — მთლიანობისთვის ბრძოლის სურვილიც იქნება. ეს არის მშობელი მიწის „რასიული ხსოვნა" (გრ. რობაქიძე). როცა ტკივილი ქრება, დაკარგული მიწის გაუცხოების გრძნობა ეუფლებათ ადამიანებს. გადის დრო-ჟამი და იკარგება ისტორიის ხსოვნა. ცუდია, როცა ისტორია მხოლოდ იმას შემოინახავს, რაც ზეიმურია და ახალი თაობისათვის სასიამოვნო, იქმნება ერთგვარი „ისტორიული კომფორტიზმი". აქედან კი ერთი ნაბიჯია ეროვნულ ნარცისიზმამდე. ისტორიულმა ხსოვნამ წაგებული ომების, ღალატისა და სირცხვილის გრძნობაც ასევე უნდა შემოინახოს, როგორც გამარჯვებებისა და სიხარულისა.

ერთხელ თურმე გამოჩენილ სომეხ მხატვარ სარიანს ჰკითხეს:

— თქვენს ნახატებში რატომ აქვთ ადამიანებს სევდიანი თვალები?

— არარატისკენ იცქირებიან— უპასუხია. ეს არის „რასიული ხსოვნა" დაკარგული მიწების.

ჰაინრიხ ჰაინეს გაგიჟებამდე უყვარდა თავისი სამშობლო გერმანია. სიცოცხლეზე მეტად მიყვარსო, — ამბობდა იგი, მაგრამ მაინც თქვა: „ჩემი ცრემლები მდინარე იორდანიაში ცვივაო". ეს არის „რასიული ხსოვნა".

რაღა გვემართება ჩვენ? რატომ ვიშუშებთ ასე უცებ მოურჩენელ ტკივილებს? რა არის ეს — თვითგანახლების მარად უკვდავი ენერგია, რამაც გაგვაძლებინა და გადაგვარჩინა თუ ბედოვლათობა და ცხოვრების სიხარულის უზენაესობის განცდა?

მაგალითებისათვის შორეულ საუკუნეებში ნუ წავალთ. გავიხსენოთ ის დრო, როცა საქართველოს თითქოს მხარი ჩამოაჭრესო, ისე დაიკარგა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი. მილიონობით ქართველი დარჩა გაღმა. ამას რაიმე პრეტენზიების გამო არ ვამბობ. რეალობის გრძნობა არ დამიკარგავს: მხოლოდ ჩვენს წინაშე აღძრულ პრობლემებზე ვსაუბრობ. მომხდარი ტრაგედიის შემდეგ დიდი დრო გავიდა. წამიერად თვალი გადავავლოთ ჩვენს ლიტერატურას, როგორც ერის სულის სარკეს, — რომელ ნაწარმოებში აისახა ჩვენი ეს დიდი ისტორიული ტრაგედია? რომელი კლასიკური მოთხრობა, ლექსი თუ პიესა შეიქმნა ამ თემაზე? მე ვლაპარაკობ დიდ მეცხრამეტე საუკუნეზე. მის იქითაც გადავიხედოთ — იგივე სურათია. რა არის ეს? ისტორიის ხსოვნა დავკარგეთ? **ერთი თაობის ტკივილი მეორეში აღარ გადადის და ეს არის ჩვენი დიდი უბედურება.** ასეთ ხალხს მიწა ფეხებიდან რომ გამოეცალოს და შაგრენის ტყავივით დაუპატარავდეს ქვეყანა, რაღა გასაკვირია?! აქ ლაპარაკია სწორედ ტკივილის განცდაზე და არა დაბრუნებისათვის ბრძოლაზე. შენს სისხლთან და ხორცთან დაშორება არ უნდა გტკიოდეს? რაკი ტკივილის გრძნობა არ შემოუნახავს, არც მწერლობას აუსახავს იგი. რაც სინამდვილეში იყო, იმანაც ის გადმოსცა, იგივე მოხდა საინგილოსა და სხვა მხარის მიმართაც. ისინი თითქოს მთლიანად წაიშალნენ ჩვენი ეროვნული ცნობიერებიდან. არ მავიწყდება გრ. აბაშიძის შესანიშნავი ციკლი „სამხრეთის საზღვარზე", რომელიც დიდი პოლიტიკური აჟიოტაჟის ფონზე წარმოიქმნა, არც ჯ. ჩარკვიანის „რწმენის კედლის" ტკივილიანი სტრიქონები მავიწყდება, მაგრამ ყველაფერი ეს და კიდევ აქა-იქ გაბნეული სტრიქონები, რომელიც ომის შემდეგ შეიქმნა, საერთო სურათს ვერ ცვლის.

რაღაც იმედის შუქივით შემომანათა თემურ აბულაშვილის ნოველამ. იმედი, ჩვენი ტრაგედიის არდავიწყებისა. იქნებ ზოგმა ისიც იფიქრა, რა დავიწყებაზეა ლაპარაკი, ის რაც ახლახან მოხდაო. მაგრამ სწორედ ისაა საქმე, რომ თუ მალე არ დავბრუნდით აფხაზეთში, სამაჩაბლოში, შეიძლება ჩვენი გულგრილობისა და ემოციურობისაგან დაცლის სინდრომმა იჩინოს თავი — „ჩვენ ემოციის ხალხი ვართ, უცბად ავღელდებით, ავტეხავთ განგაშს, დავხარჯავთ აუარება სიტყვებს და მერე ისევ თავდავიწყებას მივეცემით" (სანდრო ახმეტელი).

ღრმად უნდა გავიცნობიეროთ მომხდარი ტრაგედია. არადა, ხომ ვხედავთ, თანდათან, ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნევლად როგორ გაფერმკრთალდა გაგრის ტრაგედია, როგორ იშვიათად იგონებენ ხოლმე მას. თუმცა, დღეიდან მარტო თ. აბულაშვილის ნოველაც რომ დარჩეს, ისიც საკმარისია ხსოვნისათვის.

ნოველაში ერთმანეთს ერწყმის დოკუმენტალიზმი და ფანტასმაგორია. თითქოს ყოველივე ჩვენს თვალწინ კი არ მოხდა, დოკუმენტური სინამდვილე კი არ არის, არამედ ძალზე შორეულ, მითოლოგიზებულ ამბავს გვიამბობს მწერალი. თითქოს საქართველოს ჟამთააღმწერლის სტრიქონებს ვკითხულობთ და ვცდილობთ ისტორიის სიღრმეში გადავწვდეთ მომხდარი ამბავი, რათა პირდაპირ თვალი არ გავუსწოროთ კოშმარულ სინამდვილეს, რომელიც სიზმარსა თუ თქმულებებს უფრო წააგავს. როგორ გინდა გაიცნობიერო, რომ მთელი საქართველოს თვალწინ გაგრის სტადიონზე ქართველი ჭაბუკის თავით ითამაშეს ფეხბურთი. იმავე სტადიონზე საჯაროდ გააუპატიურეს ქართველი ქალები, იქვე დახვრიტეს, ვინც არ დაემორჩილა მოძალადეებს. თუ ამის გაცნობიერებას შევძლებთ, ისტორიული სირცხვილის გრძნობა უნდა გაგვყვეს უკუნითი უკუნისამდე. უნდა ვუპასუხოთ მომავალ თაობებს — როგორ მოხდა ყოველივე ეს? ისტორიკოსების მოგონილია ქართველთა ვაჟკაცობისა და გმირობის ისტორია, თუ არც არაფერი მომხდარა ახალი? ვიყავით გმირებიცა და ლაჩრებიც, ერთგულიცა და მოღალატეც, მოუთმენელიცა და სულგრძელიც, სასტიკიც და ლმობიერიც. ოღონდ ეს არის, დიდი რამ შეგვეშალა, როცა ვიფიქრეთ — ქართველურია მხოლოდ ის, რაც კარგია, —ცუდი კი გარედან თავსმოხვეული და არაქართული. არადა, წმინდა სისხლის ქართულია გმირობაცა და მოღალატეობაც.

ამიტომ, ბუნებრივია, იბადება კითხვა, — რა ბოროტება ხდება დღეს ისეთი, წარსულში რომ არ გვქონია?

თითქმის ყველაფერს შევხვდებით ჩვენს ისტორიაში. იყო ღალატიც, ძმათა კვლაც, ადამიანთა მოტაცებაც, გაყიდვაც, თვალების დათხრაც — მამა შვილს შორის კარიერისათვის. და სხვა ათასი ჭირი. მოკლედ, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის"...

წინააღმდეგობრიობა ღრღნიდა საქართველოს, ერთად იყო სიკეთე და ბოროტება, როგორც მარადიული თანმდევი სული. შარდენი თავის მოგზაურობაში ქართველებზე წერს: „... აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება, არიან თავაზიანები, ზრდილი, დარბაისელი და გულთბილი, მაგრამ ამავე დროს ამაყი, ქედმაღალი, ბოროტი, დაუნდობელი, ულმობელი და უტიფარი. მეშინია, ვაითუ არ დაიჯეროს მკითხველმა და ჩემს მიერ ნაამბობი გადაჭარბებულად ჩათვალოს. ვაცხადებ, რომ ეს სრული სიმართლეა". ხედავთ, რა საოცარი პოლარიზაციაა? თითქოს შეუთავსებელის შეთავსებაა: ზრდილი და უტიფარი, გულთბილი და ბოროტი, თავაზიანი და ულმობელი. რომელი თვისება როდის უფრო მეტად წარმოჩნდებოდა, ეს დამოკიდებული იყო კონკრეტულ სიტუაციაზე, ისტორიულ პირობებზე.

დღევანდელ საერთო დემორალიზაციის ფონზე, ნათელი სხივით ანათებს აფხაზი ტალიბეისა და ქართველი ანოს სიყვარულის ისტორია. ნათლის სვეტივით აღიმართნენ სტადიონზე ზნეობრივი სიწმინდისათვის თავგანწირულ ქართველთა სახეები. როცა ასეთ მაგალითებს ეცნობით, ფიქრობთ, რომ არც ისეა, როგორც ვამბობდით, „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო" (აქ მარტო სიმღერას არ ვგულისხმობ) და არც ისეა ახლა რომ „ვმღერით", „რაც ცუდები ვართ, ქართველები ვართო". რადიკალიზმი მუდამ იყო ჩვენი გათიშვის საფუძველი. გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები: „ვაი იმ ქვეყანას, როცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, როცა „მე" ხშირია და „ჩვენ" იშვიათი". ასე რომ, ჩვენი დღევანდელი სენი არ ახალია.

მოთხრობაში „1992 წლის ფებრუართი" აფხაზი ბიჭის თვალით დანახული ომის საშინელებებია გადმოცემული. თითქოს ტალიბეის სულშია მოქცეული ომის მთელი ტრაგიზმი. იგი გაოგნებული დარბის ქუჩიდან ქუჩაში და ეძებს თავის საყვარელ ანოს. ყოველი ქუჩა დანტეს ჯოჯოხეთის თავისებური კარია. ძიების პროცესში თანდათან იზრდება დამნაშავეთა სამყარო, რომელსაც იგი პირისპირ ხვდება და ამაოდ ცდილობს გაექცეს მას. იგი ამ მიწის შვილია, მიწა კი მისი და ანოს სამშობლოა, მათი სისხლი და ხორცია, ათასწლეულობით რომ უცხოვრიათ ერთად. ახლა კი წუთისოფლის ბორბალი უკუღმა დატრიალებულა, ყველაფერი არეულია, სიძულვილი და სისასტიკე გამეფებულა. გაოგნებული ტალიბეი პასუხს ვერ პოულობს კითხვებზე, თუ რატომ ხდება ასე. ის თარაშ ემხვარის სულიერი ძმა არის და მისთვის სიყვარულია უზენაესი. ანოს ძებნაში ვლინდება მისი ცხოვრების ორიენტირიც. ტალიბეის არ ესმის არც გადამთიელთა და არც თავისიანთა გაშმაგებისა, მისთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს — გზა, რომელსაც იგი ანოსაკენ (საქართველოსაკენ) მიჰყავს. ამ გზაზე თითქოს ერთ დღეში გაიარა მთელმა ცხოვრებამ.

ნოველის პირველ სტრიქონებშივე გამოჩნდა აფხაზი ბიჭი ტალიბეი. „გაგრას მოულოდნელად დაატყდა თავს მეხი. ქუჩაში ცამეტი წლის აფხაზი ბიჭი კი არ მირბოდა, მიჰქროდა. ქალაქს ყოველი მხრიდან ბომბავდნენ"... „ღალატია, ძმებო, ღალატი! — იყვირა აფეთქებული ტანკიდან გადმომხტარმა ქართველმა მეომარმა და იმავე წამს ტყვიამ მოცელა"... ამ წუთებიდან დაიწყო ტალიბეის ოდისეა, ცეცხლმოკიდებულ ქალაქში, გვამებით სავსე ქუჩებში დაჰქროდა ბიჭი და როცა ვერსად აღმოაჩინა თავისი საყვარელი ანო, სტადიონისაკენ გაიქცა. აფხაზმა ფაზილმა უთხრა: „გაგრა ჩვენია! ხვალ სოხუმს ავიღებთ!... კაცები ჩავაძაღლეთ! ქალები სტადიონზე გარეკეს, წადი, სეირი ნახე!..." მირბის სტადიონისაკენ ტალიბეი და გზადაგზა ეძებს ანოს. მიდის სტადიონისაკენ და რას ხედავს: „ოცდაათი ტყვე ქალი, უმეტესად ახალგაზრდები, თვალწარმტაცი ქალები და უწლოვანი გოგონები სტადიონის შუაგულში ჩაამწკრივეს. მათ პირისპირ ჩამწკრივდნენ არყითა და თრიაქით გონდახშული კაცები. თითოეული მსხვერპლის წინ თითო ჯალათი იდგა... აღვირახსნილობის ჟინით გახელებულები ცინიკური სიცილ-ხარხარით ადგილებს იცვლიდნენ, ლაზღანდარობდნენ, ერთმანეთს უქიმუნჯებდნენ და უკეთესი ქალების არჩევანში ეცილებოდნენ". ტალიბეიმ რამდენჯერმე შეათვალიერა განწირული ქალები და თავისი ანო რომ ვერ დაინახა მათ შორის, შვება იგრძნო, მაგრამ, რაც მან სტადიონზე ნახა, აღემატებოდა ყველაფერს, რისი წარმოდგენაც კი შეეძლო ადამიანის ფანტაზიას. მან ნახა, როგორ უბრძანა ახმახმა გოგონას გაშიშვლებულიყო და როცა არ შეასრულა მისი ბრძანება, იქვე დახვრიტა. მერე გაიმართა საშინელი სცენები აღვირახსნილობისა... „ოცდაშვიდი ქალი დასახვრეტად წაიყვანეს, სამს კი დაპირებისამებრ უფლება ჰქონდა ეცოცხლა". თითქოს არ კმაროდა ამ საშინელებათა ხილვა და უფრო შემზარავ სანახაობას აღწერს. „ახმახის ბრძანებით, სამსჯავრო მოედანზე ოციოდე წლის ქართველი ჭაბუკი გამოიყვანეს და თალხი ქსოვილით თვალები აუხვიეს, ჭაბუკს უკნიდან ჯალათი მიუახლოვდა, ხანჯალი იშიშვლა, ერთი დარტყმით თავი წააგდებინა და ხანჯალი მკლავზე გაიწმინდა. წრეში თავმოყრილი ბუნდების შემადგენლობა აქაც ჭრელი იყო. ერთ მხარეს რუსები და აფხაზები იდგნენ, ხოლო მეორე მხარეს ჩეჩნები და ადიღეელები. სიცილხარხარითა და ყმუილით მისცვივდნენ მოჭრილ თავს და დაიწყო საშინელი, თავზარდამცემი ფეხბურთი! იმ წუთას არა მარტო სტადიონის ტრიბუნები, ოთხივე პოლუსი, მთელი კაცობრიობა დანერწყვილი და სულში ჩაფურთხებული იყო". ტალიბეიმ მოასწრო თვალებზე ხელების აფარება, მაგრამ „უცებ ძლიერი დარტყმა იგრძნო თავში. ტვინამდე ჩააღწია. დააბრმავა და დაარეტიანა. მის გულში თითქოს მთელი სამყარო აფეთქდა". ეს არის წუთი, როცა ადამიანი ზეზეურად კვდება, როცა სიცოცხლე კარგავს აზრს. ტალიბეის უცებ თმა გაუთეთრდა, „მთელი სტადიონი გასუსულიყო და მას მისჩერებოდა. ერთიანად თმა გათეთრებული მოედნის შუაგულში იდგა, მოკვეთილ თავს დაჰყურებდა და სახეზე ღრმა ნაოჭები ემატებოდა", თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ტალიბეის ოდისეა გრძელდება. სტადიონიდან შეშლილივით გამოქცეული კვლავ ეძებს ანოს. „აგერ ანო და დედამისი, კინაღამ საგულედან გული ამოუხტა. ეჩვენება თუ მართლა ანოა! ნამდვილად ის არის! სატვირთო მანქანებით ტყვეებს გადაჰყავთ. ანო!!... ანო!!... გააჩერეთ მანქანა! ყვირილით გაეკიდა ტალიბეი: ანო! დამიცადე!" მისდევს მანქანას აფხაზი ბიჭი. მანქანა მიჰქრის, ტყვეებს ავტომატით თავზე ადგას აფხაზი ფაზილი. „ფაზილ! ფაზილ! მანქანა გააჩერეთ! გააჩერეთ მანქანა!... ფაზილ! მე შენი დედა"... მუშტი შემართა ტალიბეიმ და გაისმა ავტომატის ჯერი"...

დამთავრდა ტალიბეის ოდისეა, ქართველი გოგონა ტყვედ წაიყვანეს. ამ ნამდვილი აფხაზი, ანუ აფხაზეთის მომავალი, მოკლეს. თავად აფხაზმა ესროლა 13 წლის ბიჭს და ამით ტყვია ესროლა აფხაზეთის მომავალსაც, ხოლო ანო თავისებური სიმბოლური სახეა ტყვედქმნილი აფხაზეთისა.

ასე რომ, ტალიბეისა და ანოს ისტორია ნოველაში ზოგადდება და სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, ბევრ რამეს მიგვანიშნებს ნოველის დრამატურგია, თავისი ქვეტექსტებითა და მეორე პლანებით. მძაფრსა და გამაოგნებელ ამბის მიღმა შეიცნობა არა ქართველთა მარცხი და აფხაზთა გამარჯვება, არამედ ორთავეს მარცხი.

ბეწვის ხიდზე გაიარა მწერალმა. არც შურისძიების გრძნობა, არც აფხაზთა დამამცირებელი რამ, აქ ყველაფერი განათებულია მაღალი ჰუმანიზმით. მწერალი მიუკერძოებელია და მართლად ასახავს სინამდვილეს. ეს არის ყოვლისმხრივი ზღვრისა და ქაოსის სამყარო, რომელშიც მოქცეულია ქართველი და აფხაზის—ანოსა და ტალიბეის სიყვარული. მწერალი ომში გამოვლილ 13 წლის ტალიბეიზე წერს: „სუფთა, კამკამა ცას ემდგა ტალიბეი და ცხოვრების გორიერაგზე ქვესკნელში კი ჩაიხედა. თოვლივით თმაგათეთრებული, წელში გატეხილი ბერიკაცივით მიდიოდა".

ქართველთა ხოცვა-ჟლეტის, სტადიონზე გამართული ფეხბურთის შემზარავი სანახაობის ფონზე, ტრაგიკული გროტესკის ფორმას იძენს ნოველის მინაწერი: იმ დროს, როცა ქართველ ჯარისკაცებს აფხაზეთში ხოცავდნენ, სციოდნათ, როცა სტადიონზე გაიმართა ქართველი ჭაბუკის მოკვეთილი თავის ფეხბურთი, „როცა ტალიბეი გულამოვარდნილი მისდევდა მანქანას, საქართველოს ტელევიზია 550 დოლარის სათასურად დუბაიში სამოგზაუროდ ეპატიჟებოდა ტურისტებს, ხოლო თბილისის რესტორნებში ერთი თავისუფალი ადგილიც კი აღარ იყო".

ამის შემდეგ გინდა იყვირო და აკაკის სულისშემძვრელი სიტყვები გაიმეორო: „ფუთის ღირსი ხარ—შენ საქართველოვ!", მაგრამ უმალ ცოცხლდებიან სტადიონიდან დასახვრეტად გაყვანილი გოგონათა სახეები, რომლებმაც სიკვდილი არჩიეს დამორჩილებას. არ მოგასვენებთ ფიქრი თავმოკვეთილ ჭაბუკზე და თუ ახლა მაინც შეგვახსენებს ჩვენი ზნეობრივი დაცემის მაგალითები, ყველაფერი არ დაკარგულა!..

თ. აბულაშვილის ნოველა მხატვრული სახე პროვინციული ფაშიზმისა, ამასთანავე სახელდებო დოკუმენტიც არის არა მხოლოდ მასზე, არამედ ჩვენს ეროვნულ მანკიერებაზეც.

თემურ აბულაშვილის მოთხრობა სასწრაფოდ უნდა ითარგმნოს უცხო ენებზე და გამოქვეყნდეს.

ვასილ კიკნაძე.

დღესასწაული კარწახში

ახალქალაქი, (საქინფორმის სპეც. კორ.). „აშუღის ხსოვნის" ტრადიციული დღესასწაული გაიმართა სოფელ კარწახში, სადაც 148 წლის წინათ დაიბადა აშუღი ჯივანი. თვითნასწავლი სახალხო მთქმელი სერობე ლევონიანი (ჯივანი) თვითონ ქმნიდა მუსიკას თავისი ლექსებისათვის და თვითონ ასრულებდა მათ. იგი იბრძოდა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ, უმღეროდა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას. იყო საოცრად ოპტიმისტი და შემოქმედი კაცი. „ცუდი დღეები, როგორც ზამთარი, მოვლენ და წავლენ"... სწუხდა აშუღი, თუმცა, პირადად მისთვის სწორედ „ცუდი დღეები" ჭარბობდა. სხვადასხვა დროს იგი ცხოვრობდა სომხეთის ქალაქებში, მაგრამ, მისივე თქმით, მხოლოდ საქართველოში გრძნობდა თავს კარგად. თავისი სიცოცხლის ბოლო წლები მან თბილისში გაატარა და იქვე, „ხოჯივანქის" სასაფლაოზეა დაკრძალული.

ჯივანი არათუ უმღეროდა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, არამედ, თავად უძმო ქართველ ხალხს — მისმა შემოქმედებამ იმდროინდელი ქართული ცხოვრების შესანიშნავი სურათები შემოინახა. მისი შთამომავალნი იყვნენ ნიჟარაძეები, და იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ქართულ მიწასთან.

დღესასწაულმა, როგორც ყოველთვის, ბევრი ადგილობრივი მაცხოვრებელი და ჩამოსული სტუმარი მიიზიდა. თბილისიდან ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, კულტურის მუშაკთა დელეგაცია ემზადებოდნენ გასაფრენად, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდი ამინდის გამო გაფრენა ვერ მოხერხდა. დღესასწაულში მონაწილეობდნენ ახალციხის, ნინოწმინდის, ასპინძის გამგებლები.

ინფორმაცია

პირველ ყრილობაზე

გაიმართა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა.

ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება.

აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. ყრილობამ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარედ აირჩია პანტელეიმონ გიორგაძე, გენერალურ მდივნად — გრიგოლ ონიანი, მეორე მდივნად — ვილჰელმ მახარაძე, მდივნებად — დემურ დალაქიძე, მანანა ჭიჯანიშვილი, მიხეილ ჭაჭუკაშვილი.

ყრილობამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა ალექსანდრე ქემოკლიძე.

გაზეთ „კომუნისტის" მთავარ რედაქტორად დამტკიცებულია დავით ქევხიშვილი.

მეცნიერებათა აკადემიასაც „ესტუმრნენ"

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჯერჯერობით დაუდგენელი ბოროტმოქმედები შეიპარნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკური კრისტალოგრაფიის განყოფილებაში და პლატინისა და ოქროს შემცველი ხელსაწყოები მოიპარეს.

მძარცველები განდევნეს

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრში გვაცნობეს ინციდენტი, რომელიც სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონაში 28 ივნისს მოხდა. დაახლოებით 16 საათზე თხუთმეტიოდე უცნობმა პირმა ხელთ იგდო ავტომანქანა, რომელსაც რუსეთის სამხედროები იყენებდნენ აღდგენით სამუშაოებზე მდინარე ენგურის ჯებირის მახლობლად.

სამხედრო მძღოლთა სიფხიზლის მეოხებით, უფროსი მაიორის ა. ხოხლოვის მეთაურობით და საგუშაგოს ახლომახლოდ მყოფი სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეთა მტკიცე მოქმედებით მძარცველები განდევნეს.

მკვლელობა კოსტავას ქუჩაზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 28 ივნისს, 15 საათზე, თავის ბინაში (კოსტავას ქუჩა, 16) ნახეს ლია ჭოველიძის გვამი კისრის არეში ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობით.

წინასწარი მონაცემებით ბინიდან წაღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, მაგნიტოფონი და ვიდეომაგნიტოფონი.

საქმეს იძიებს მთაწმინდის რაიონის პროკურატურა.

გაქურდეს „დაცვის" მაღაზია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს თბილისში, ქავთარაძის გამზირზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ასოციაცია „დაცვის" კომერციული მაღაზია. ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს 2 მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

დაჭრილები მაშველთა კორპუსის წევრები აღმოჩნდნენ

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 29 ივნისს, 10 საათზე, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის 89-ე კილომეტრზე, რესტორან „ყურყურასთან" დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ცეცხლი გაუხსნეს მიმავალ ავტომანქანას. სროლის შედეგად დაიჭრა მძღოლი და მანქანაში მსხდომი სამი მგზავრი, რომლებიც გურჯაანის საავადმყოფოში მოათავსეს.

დაზარალებული კახეთის რეგიონის მაშველთა კორპუსის წევრები აღმოჩნდნენ.

„თოლია" მოსკოვშიც გაფრინდება, მაგრამ...

ძალზე იხიამოვნეს დარბაზში თავმოყრილმა პატარებმაც და დიდებმაც, მათ ვინც მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ანსამბლ „თოლიას" დასკვნით კონცერტს დაესწრო. ეს იყო ანსამბლის დაარსებიდან მესამე სოლო კონცერტი. ცოტა ხნის წინათ კი „თოლიას" ყმაწვილები რუსუდან ბახტაძის ხელმძღვანელობით მრავალფეროვანი პროგრამით მონაწილეობდნენ ბავშვთა მუსიკის კვირეულში.

ანსამბლის თითოეული მონაწილე სოლისტია. ანი ზამბახიძე და ნიკა ბეჟანიშვილი, ახალბედა შემოქმედი ანი ცქვიტინიძე, გოგონათა კვარტეტი ნინო მახოშვილის, ანანო ასათიანის, მანანა ჯაფარიძის, თამრიკო პირმისაშვილის შემადგენლობით, რომელი ერთი გაშოვარჩიოთ...

„თოლიას" მოსკოვშიც ელიან, მაგრამ... ეს დამოკიდებულია სპონსორებზე.

• • •

თედო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტორეპორტაჟი.



შეიქმნა საქართველოს პრესის დახმარების ფონდი

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს პრესის დახმარების ფონდი. დამფუძნებელი კრების მუშაობაში, რომელიც 29 ივნისს გამომცემლობა „სამშობლოს" სხდომათა დარბაზში გაიმართა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, სტამბებისა და გამომცემლობათა წარმომადგენლები, რაიონების გამგებლები.

დღეს ჟურნალ-გაზეთები უამრავი პრობლემის წინაშე დგანან. და თუ ზოგიერთი მათგანი როგორღაც ახერხებს და საკუთარი ძალებით წყვეტს ამ პრობლემებს, ბევრისთვის ისინი არც ისე ადვილად დასაძლევია. უკვე რამდენიმე თვეა არ გამოსულა ჟურნალ-გაზეთები „დილა", „საქართველოს ქალი", „ჯვალი", „ნაკადული", გაზეთი „სამშობლო", ძალიან უჭირს რაიონულ გაზეთებს, ისინი ხომ ბევრ რაიონში ინფორმაციის ლამის ერთადერთ წყაროს წარმოადგენენ. ახლად შექმნილი ფონდის უმთავრესი მიზანია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოში არსებული პრესის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას და შესაძლებლობის ფარგლებში დააფინანსოს ყველაზე მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი ჟურნალ-გაზეთები.

საქართველოს პრესის დახმარების ფონდის შესახებ ისაუბრა ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ. შეკრებილთ ფონდის წესდება გააცნო ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ჰამლეტ გეგიამ. პრესის მუშაკთა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა წინაშე მდგარ პრობლემებზე ილაპარაკეს „ქალთა გაზეთის" რედაქტორმა ცირა კუპატაძემ, გაზეთ „შანსის" რედაქტორმა ბონდო ქურდაძემ, ჟურნალ „საქართველოს ბუნების" რედაქტორმა ოთარ ჭელიძემ, გაზეთ „ასავალ-დასავალის" რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა, ბეჭდვითი სიტყვის კორპორაციის თავმჯდომარემ ზაურ გომართელმა, გაერთიანება „პერიოდიკის" დირექტორმა ციცო კუპატაძემ, წიგნის პალატის გენერალურმა დირექტორმა რევაზ ლლონტმა და სხვებმა.

ფონდის მუშაობას უხელმძღვანელებს თანათავმჯდომარეთა საბჭო ოცდასამი კაცის შემადგენლობით.

ანდერძად მომავალ თაობას

ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობის ასახვას მიეძღვნა საარქივო მასალების გამოფენა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანეში".

29 ივნისს გაერთიანების საგამოფენო დარბაზში თავი მოიყარეს თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ქართველმა ებრაელებმა, სტუმრებმა. საქართველო-ისრაელის მეგობრული ურთიერთობისა და ორი ქვეყნის ისტორიული განვითარების ამსახველმა დოკუმენტებმა შეკრებილები დაარწმუნა იმაში, რომ სიყვარული, ურთიერთთანადგომა გადაგვარჩენს, რომ ურთიერთთანადგომის სურვილი მომავალ თაობებს ანდერძად უნდა გადავცეთ.

26 საუკუნის წინათ მოვიდნენ საქართველოში ებრაელები და დღემდე ქართველი ხალხის მიმართ სიყვარულის გრძნობით არიან გამსჭვალული. ეს ის ხალხია, რომელიც არასდროს არ შესცვლილებია ქართველ ხალხს მიწას. როცა ქართველი ებრაელობა კვლავ წავიდა ისრაელში, ისინი წავიდნენ არა როგორც დევნილები, არამედ მათ თან წაიყოლეს საქართველოს ღრმესი პატივისცემა.

საქართველო-ისრაელის მეგობრული ურთიერთობის დოკუმენტური მასალების გამოფენა გახსნა გაერთიანება „მემატიანეს" თავმჯდომარემ ზურაბ მახარაძემ, საქართველოს ცენტრალურ არქივებში დაცული დოკუმენტური მასალების ღირებულებაზე ისაუბრეს აკადემიკოსმა სემიტოლოგმა კონსტანტინე წერეთელმა, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა, მსოფლიოს ებრაელთა სააგენტოს „სოხნუტის" წარმომადგენელმა საქართველოში იაკობ ეფრემაშვილმა, ქართულ-ებრაული ასოციაციის თავმჯდომარემ შალვა წიწუაშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა მანანა გიგინეიშვილმა, სემიტოლოგმა, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორმა აპოლონ სილაგაძემ და სხვებმა.

გამოფენას დაესწრო ისრაელის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში ბარუხ ბირენბაუმი.

ყვავილების დღესასწაულზე

ამდენი მოზეიმე ბავშვი, ღიმილი და ყვავილები კარგა ხანია არ უნახავს გორს. იმ დღეს „ყვავილების დღეზე", რომელიც ქალაქის ქალთა საბჭოს თაოსნობით სახელმწიფო თეატრის წინ, მშვენიერ სკვერში მოეწყო, თითქმის მთელი ქალაქი მოვიდა.

ღონისძიების ორგანიზატორებმა გემოვნებით მორთეს იქაურობა. ათობით ოჯახმა აქ თავისი ეზო-მიდამოს ყვავილები — ვარდები, მიხაკები, გვირილები და სხვა დეკორატიული მცენარეები გამოფინა, იქვე გამომცემლობა „ქართლმა" გასაყიდად გამოიტანა უკანასკნელ ხანებში გამოცემული წიგნები, ხოლო მოსწავლეებმა იმპროვიზებულ სცენაზე წარმოადგინეს პიესები და სკეტჩები.

იცინოდა მზე, მხიარულობდა ქალაქი, ისმოდა სიმღერები, პოეტები კითხულობდნენ ლექსებს. „ყვავილების დღესასწაული" დასრულდა დიდი სახალხო სეირნობითა და სპორტული შეჯიბრებებით.

გურამ ვაშაკიძე.

მსოფლიოს XV საფეხბურთო ჩემპიონატზე

სპეციალისტთა თვალსაზრისი

მთავარი ბრძოლები წინ არის

ამერიკის შეერთებული შტატების 9 ქალაქში დამთავრდა მსოფლიოს XV ჩემპიონატის პირველი ეტაპი — შეხვედრები ქვეჯგუფებში. 8 გუნდი დაემშვიდობა ამერიკას, საფეხბურთო ბატალიებს მხოლოდ 16 ქვეყანა გააგრძელებს.

ჩვენი გაზეთის სპორტულმა მიმომხილველმა გია პლატონიშვილმა განვლილი მატჩების შეფასება და მომავალი თამაშების პროგნოზი სთხოვა წარსულში ცნობილ ქართველ ფეხბურთელებს:

რევაზ ძოძუაშვილი: უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მაღალი დონე. როგორც ასეთი ტურნირის მონაწილემ, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მსგავსი ჩემპიონატი ჯერ არ გამართულა, გნებავთ, — სანახაობრივი, გნებავთ — პროფესიული თვალსაზრისით. დამეთანხმებით, ალბათ, რომ სუსტი გუნდი თითქმის არ გამოდის, რაც ყოველი შეხვედრის შედეგს წინასწარ გამოუცნობს ხდის.

ცალკე მინდა შევეხო მწვრთნელთა კვალიფიკაციას. ოცდაოთხივე ნაკრების გამორჩეული ტაქტიკური მონახაზი სწორედ მათი დამსახურებაა. საერთოდ, მწვრთნელთა ხელი ეტყობათ მონაწილეებს. ისინი ისე წარმართავენ თამაშს, როგორც დიდი რეჟისორები.

ახლა კი ერთ-ერთ „მარადიულ" და მტკივნეულ საკითხზე — მსაჯობაზე. თუ ადრე „ვარსკვლავებზე" ნადირობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამჯერად — ნულას უკაცრავად. თემიდის მსახურთა პროფესიონალიზმი და სიმკაცრე ჯერჯერობით უხეშობას წარმატებით ეპაექრება. რა თქმა უნდა, ცალკეული შეცდომები ამერიკაშიც მოსდით არბიტრებს, მაგრამ არა ისეთი, რომ მატჩის შედეგზე იმოქმედოს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია დამკვირვებელთა და სპეციალისტთა ავტორიტეტიც — მათი „შიშით" მსაჯებიც უფრთხილდებიან საკუთარ ავტორიტეტს.

ცალკეული შეხვედრებიდან გამოვყოფ ჰოლანდია-ბელგიის უმაღლესი ხარისხის დუელს. ამ გუნდებთან ერთად ფავორიტებად ვთვლი ბრაზილიას, გერმანიას (დაცვაში მათეუსის დაწევა გერმანელთა მინუსია), არგენტინას და იტალიას, რომელსაც პირველ ეტაპზე უკეთესად უნდა ეთამაშა. მათგან რომელი გახდება მსოფლიო ჩემპიონი, მართლაც ძნელი გამოსაცნობია.

საუკეთესო ფეხბურთელთაგან დავასახელებ შიფოს, მარადონას, ჰაჯის...

ზორბეგ ებრალიძე: რომ ვთქვა, აღფრთოვანებული ვარ-მეთქი ჩემპიონატით, არ იქნება მართალი. რამდენიმე თამაშის გარდა, ჯერჯერობით არ მინახავს ის, რასაც „დიდი ფეხბურთი" ჰქვია. ისე კი, გუნდები ფიზიკურად ძალზე კარგად არიან მომზადებული.

საერთოდ, ეტყობა, ფეხბურთის დონე თითქმის გათანაბრდა მთელ მსოფლიოში. ამის სამაგალითოდ ბევრი თამაში გამოგვადგება წინასწარი შეხვედრებიდან, თუნდაც გერმანიისა და სამხრეთ კორეის. აზიისა და აფრიკის ქვეყნების გუნდები უკვე ტოლს აღარავის უდებენ. თუმცა, ჯერჯერობით, მაინც ყველაფერი წინ არის, გუნდების უმრავლესობა არ „გაიხსნა", როგორც ხელს აძლევდა, ისე ითამაშა. აი, მერვედფინალებიდან კი, როცა უკვე ოლიმპიური სისტემა ჩაერთვება საქმეში, გამოჩნდება ვინ რისი მაქნისია. თვალში საცემია მსაჯობა, ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც. მოედანზე დისციპლინის ამაღლება კი საერთოდ ფეხბურთის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ჯერჯერობით ახალი „ვარსკვლავიც" არავინ გამოჩენილა. ისევ ის მარადონა, კლინსმანი, რომარიო, ბებეტო, ჰაჯი, მაგრამ დავიცადოთ...

ხოლო, რაც შეეხება პროგნოზს, რუსეთისა და კამერუნის თამაშმა დაამტკიცა, რა უმადური საქმეა პროგნოზი... მაინც გავბედავ და ვიტყვი: ალბათ ფინალი ასეთი იქნება: ბრაზილია — არგენტინა.

კაცი იმდენად შიმშილზე აღარ ფიქრობს...

გუშინ... არ იყო, თბილისის ცენტრსა და, განსაკუთრებით გარეუბნებში სამხედროფორმიანების, სროლის, ურთიერთკვლისა და სისხლის მეტს ვერაფერს ნახავდით! დღეს ქალაქს მთლიანად პოლიცია აკონტროლებს. მძიმედ, გაჭირვებით, დიდი წინააღმდეგობებით, მაგრამ თანდათან მაინც იბრუნებს ჩვენი დედაქალაქი დიდი ხნის ნანატრ სტაბილურობასა და სიწყნარეს. მშვიდობა, რომელიც ასე მოგვწყურდა, ილუზია, აუხდენელი ოცნება აღარ არის.

უნდა გამოგიტყდეთ, თბილისს კვლავ არა ერთხელ შეაშფოთებს ყოვლისშემძლე მაფიის თავგასულობა, სისხლიც მრავლად დაიღვრება, მაგრამ ერთად ყოფნითა და სასტიკი ბრძოლით, საბოლოოდ დამარცხდება.

...ეს ასპიტი ბორის ლეკიშვილია. გლდანულას დასახლებაში, მან ოთხ (ერთ-ერთი ვერსიით) დაჭირავებულ მკვლელს. ანგარიშსწორების მიზნით, დათო გვასალია და თემურ ნადირაძე დაახოცინა. ისნის რაიონის ვაზისუბნის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები, ქალაქის მთავარი სამმართველოსა და პროკურატურის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით, დროულად დაადგნენ დამნაშავეთა კვალს და დააკავეს ბორისი, აგრეთვე ორი მკვლელი. როგორც შინაგან საქმეთა ვაზისუბნის ქვეგანყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი **ვაჟა მიხანაშვილი** ფიქრობს, ამ დღეებში მის სამოქმედო ტერიტორიაზე კვლავ ბევრი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული გაიხსნება.

დრო ვიხელთე და გავესაუბრე მოწადინებულ პოლიციის უფროსს.

— როგორც მთელ თბილისში, ისე ვაზისუბნის დასახლებაში, ამ ზამთარს მეტად რთული კრიმინოგენული ვითარება იყო, — ამბობს ვაჟა მიხანაშვილი. — განსაკუთრებით, ყაჩაღები და ბინის ქურდები მოგვეძალნენ. ორი მკვლელობაც მოხდა. ერთბაშ გახშირდა ავტომანქანების მოტაცება. აქაც ბევრი იყო იარაღი, სადღეღამისო, შეუწყვეტელი სროლა...

— **ბუნებრივია, გიჭირდათ მუშაობა.**

— რასაკვირველია, ხშირად შეიარაღებულ მძარცველებთანაც გვიხდებოდა შეტაკება.

— საქმე ის არის, რომ, ეგრეთ წოდებული შავი სამყარო მეტად გააქტიურდა. მართალია, დამნაშავეს ვადგენდით, მაგრამ ვერ ვაკავებდით. ჩაიდენდნენ თუ არა დანაშაულს, გადაიკარგებოდნენ, რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გარბოდნენ. მაშინ კი, მოგეხსენებათ, საქართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროებს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ.

ახლა გალღვა ყინული, ამ ქვეყანასთან ძალიან კარგი ურთიერთობა დამყარდა, ოპერატიული ინფორმაციებიც იცვლება. დღეს გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია ერთ-ერთ მკვლელზე, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში იმალება სხვა გვარით და რუსი კოლეგების დახმარებით იმედი მაქვს, მალე წარსდგება მართლმსაჯულების წინაშე. საერთოდ, რუსეთს შეფარებული ქართველი დამნაშავენი დღეს ძალიან მრავლად არიან.

— **ძირითადად, ვინ ქმნიდა და კვლავ ქმნის მწვავე დანაშაულებრივ კლიმატს თქვენს უბანში?**

— ვაზისუბანში 14 წელიწადია ვმუშაობ, პოლიციის უფროსად — სამი თვეა. კარგად ვიცი, ვინ ვინ არის! ამ ბოლო ხანს, „ძველები" პასიურობდნენ, უფრო „ახლებმა", განსაკუთრებით, ერთი დღის ვაი-მეომრებმა აჩვეს...

— **პოლიციის მიმართ თუ ძალადობდნენ?**

— ადრე იყო ძალადობის შემთხვევები, ახლა აღარ არის. ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაძემ სასტიკად გაგვაფრთხილა, არ დავუშვათ ძალადობის, პოლიციელზე ძალისმიერი თუ მორალური ზემოქმედების შემთხვევები. უკიდურეს შემთხვევაში, პირადად ჩავერევი საქმეშიო, თქვა.

ტელეფონის ზარიც შესუსტდა, მუქარამაც იკლო. ერთი სიტყვით, პოლიციამ უკვე გადაიტანა წლევანდელი თუ

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ადრინდელი ზამთრების სუსხი და ახლა თანდათანობით ძალასაც მოიკრებს.

— **ბოლო ხანს, ყველაზე მეტად რომელმა დანაშაულმა შეგაშფოთათ?**

— მამა-შვილი პესკოვები წყლის ასაღებად იყვნენ გამოსული, მათ სრულიად არაფრისთვის აუხირდა ვინმე ლითანიშვილი (მთვრალი იყო) და უდანაშაულო ხალხი ადგილზე დახოცა.

არყის გულისათვის მელნიკმა კაცი მოკლა... და ყველაზე უფრო შემაშფოთებელი: ელდარ დაიაურმა თავისი ცოლისდის გაუპატიურება მოინდომა, საბედნიეროდ გოგომ იწარჯვა და მოძალადემ მიზანს ვერ მიაღწია. სამივე მძიმე დანაშაული გახსნილია.

— **ნარკომანები თუ გყავთ?**

— წლეულს, ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანა-გასაღებასთან დაკავშირებული დანაშაულის 7 შემთხვევაა გახსნილი, სამი რეალიზატორიც დავაკავეთ. ვინმე ცქიმანაურს 320 გრამი „ანაშა" ჰქონდა. წამალი, ძირითადად, ზაქათალიდან და კახეთიდან შემოაქვთ. დღეს გვაქვს რამდენიმე კონკრეტული ინფორმაცია და ვმუშაობთ. საერთოდ, ამ მხრივ, გასაკეთებელი ძალზე ბევრია.

— **„სახმოებად" თუ ერთიანდებიან ვაზისუბნელები?**

— იყო პატარა მცდელობა, მაგრამ ჩვენი და ხელმძღვანელობის ჩარევის შედეგად ვერ გააკეთეს. დღეს გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნის მეტროპოლიტენის სადგურთან ჩადგმული ჯიხურები და სახელდახელო, არაორგანიზებული ბაზრობა. ახლა გადაწყდა, რომ ვარკეთილის მეტროსთან ახლოს, 100-150 მეტრში, ჯავახეთის ქუჩაზე, ბაზრობისათვის სპეციალური ადგილი გამოიყოს.

— **დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთო მაჩვენებელი გაკმაყოფილებთ?**

— მაინცდამაინც, არა, მაგრამ საერთო მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 62 პროცენტს მიაღწია, გაუხსნელ დანაშაულებათა უმეტესობაზეც კონკრეტული ინფორმაცია გვაქვს. ბევრია 1992-93 წლებში ჩადენილი დანაშაულობები. მაშინ ხალხი არ მოდიოდა პოლიციაში, ახლა კი მოდის, დახმარებას გვთხოვს.

— **ამდენად საქმეც მოგემატებოდათ?**

— ქვეგანყოფილების 50-კაციანი კოლექტივი ორ ცვლად მუშაობს. მართალია, უჭირთ, მაგრამ არ წუწუნებენ. კოლექტივის მესამედი გამოცდილი თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, დანარჩენები, ძირითადად, ახალბედები, ძალ-ღონით სავსე ბიჭები არიან. საკმარისია, სწორად უხელმძღვანელო, ქვას გამოეკიდებიან. ახლა, როცა კრიმინოგენული ვითარება შედარებით სტაბილურია, ჩვენი ძირითადი საზრუნავი ქუჩაში ადამიანის უსაფრთხოების დაცვა გახდა. კაცი იმდენად შიმშილზე აღარ ფიქრობს, რამდენადაც ეზოში, ქუჩაში, ქალაქგარეთ გასეირნება მოენატრა. ეს, უპირველესად, ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობის პოზიციაა. მართლაც, მოკვდა „კაბინეტური მუშაობის" დრო. უბნისა და არასრულწლოვანთა ინსპექტორიც, ოპერმუშაკიც და გამომძიებელიც ხალხში უნდა გავიდეს, მისი უსაფრთხოება დაიცვას.

ჩვენი ოპერატიული ჯგუფები დღე-ღამე მორიგეობენ, სულ გარეთ არიან, ბიჭებს საბრძოლო განწყობა აქვთ. იმედი მაქვს, პოლიციის ძალისხმევა, ბოლოს და ბოლოს, შედეგს გამოიღებს და დედაქალაქში ერთხელ და სამუდამოდ ნანატრი მშვიდობა დაისადგურებს.

შუღამდე. კოკისპირულად წვიმდა. ბატონ ვაჟას თავისი ცხრა წლის ქალიშვილი ეკა გაახსენდა, ისიც გაგვიმხილა ცოლი ფეხმძიმედ არის და მტრების ჯინაზე ვაჟს გამიჩენსო. ღმერთმა უსმინოს! მტერი კი, მართლაც, ბევრი ჰყავს ნამდვილ პოლიციელს...

ზაურ მაკარაძე.

P. S. 24 ივნისს, თბილისში, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ერთად, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაცია განახორციელა.

ოპერაციის დროს, დააკავეს 250 ნარკომანი, მათ შორის 50 ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორი, 30 ძებნილი და სამი, ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდი". დამნაშავეებს ჩამოართვეს 187 ამპულა „ნორფინი", ერთი კილოგრამი „ოპიუმი", 89 ამპულა „მორფინი", დიდძალი „ანაშა", ათობით ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა და ტყვია-წამალი, აგრეთვე 42 მოტაცებული ავტომანქანა...

ზ. მ.

ფილიპე მახარაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი ფილიპე მახარაძე. დაიბადა 1924 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და შემდეგ მრავალ წელიწადს მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე — აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორად, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ, 1952 წლიდან კი პარტიულ სამუშაოზეა — არის პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიულ-ორგანიზაციული განყოფილების გამგე, თანამშრომლობს რესპუბლიკის პარტიულ პრესაში და, ალბათ, ესეც უნდა იყოს მიზეზი, რომ სამოციანი წლების დამდეგს — უკვე თბილისში — რამდენიმე წელიწადს ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგედ იღვწის.

ფ. მახარაძე ათ წელიწადს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ, 1972-73 წლებში საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიონის პირველ მდივნად, შემდეგ კი — ორ წელიწადს — საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ფილიპე მახარაძე 1975 წლიდან 1991 წლამდე — პენსიაში გასვლამდე — მუშაობდა ვ. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორად.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ფ. მახარაძის ჟურნალისტური მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილი თუ სტატია. ე. ი. პარტიული თემა იყო მისი მოწოდება, აქ ზედმიწევნით გამომჟღავნდა ბატონ ფილიპეს ნიჭი, ფართო ჟურნალისტური შესაძლებლობანი. აკი ამიტომაც მიენიჭა 1978 წელს რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

მაგრამ ჩვენთვის, მისი კოლეგებისა და ახლობლებისათვის, ფილიპე მახარაძე დარჩება როგორც უაღრესად ნათელი პიროვნება, ერთგული მეგობარი და სამშობლოზე, ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი.

იგი თავისი პრინციპებისა და მრწამსის ბოლომდე ერთგული იყო. იმ იდეალებს იმსახურა, რომლის ყაველგასულობას ვერავინ დააჯერებდა. წავიდა ამ ქვეყნიდან და გული დაგვწყვიტა.

ნათელი დაადგეს!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

ანზორ ჯაფარიძე

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა კოოპერაციის ღვაწლმოსილი მუშაკი, მესტიის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ანზორ მერაბის ძე ჯაფარიძე.

დაიბადა 1939 წელს, მესტიის რაიონის სოფელ მესტიაში, გლეხის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე.

შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1964 წლიდან. რაიონში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ბოლო ათ წელიწადს სათავეში ედგა მესტიის რაიკოოპერატივს.

ბატონი ანზორი მუშაობაში გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით. მთელ თავის ენერგიასა და გამოცდილებას ახმარდა რაიონის კოოპერაციული ორგანიზაციების განვითარებას.

მისი თავდადება და გულისხმიერება ყველაზე მეტად გამოჩნდა საქართველოზე თავსდატეხილი უბედურების დროს, — როცა ასი ათასზე მეტი ლტოლვილი სვანეთზე გავლით, ხიზნებად იქცა მთელს საქართველოში.

შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად თბილისსა და მესტიას შორის არ ეპუებოდა დროსა და მანძილს, ყველაფერს აკეთებდა ლტოლვილთა და თვით მესტიელთა სურსათ-სანოვაგით მომარაგებისათვის.

ზოგჯერ შეუძლებელს აკეთებდა. მთელი ენერგიით იმსახურებოდა სამომხმარებლო კოოპერაციას, ამდენ დატვირთვას ვეღარ გაუძლო ნაჯაფარმა გულმა და 55 წლის ასაკში უდროოდ წავიდა ამ წუთისოფლიდან. მას ჯერ კიდევ ბევრი კეთილი საქმის გაკეთება შეეძლო კოოპერაციისა და თავისი რაიონის მოსახლეობისათვის.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულში, ვინც პირადად იცნობდა ბატონ ანზორ ჯაფარიძეს.

ცეკავშირის გამგეობა.

რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საბაგირო ტრანსპორტის დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, დოცენტი

ივანე ტრიფონის ძე რუხაძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ქ. თბილისის შ. პ. ს.
მედიკო-ბიოლოგიური კოლეჯი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის არასრულ საშუალო (9 კლ) და საშუალო (11 კლ) სკოლის ბაზაზე, შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამედიცინო საქმე
(ქართ. და რუს. სექტორი).
2. მედდის საქმე
(ქართ. და რუს. სექტორი).

კოლეჯში აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების წესით. სწავლება ფასიანია.

საბუთების მიღება იწარმოებს 27 ივნისიდან 1 აგვისტომდე. ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 2 საათამდე.

კოლეჯის მისამართია:
ქავთარაძის ქ. № 16
35-ე საფეხბურთო სკოლის შენობა.
ტელ: 30-29-44.

ადმინისტრაცია

კომპიუტერული სკოლა შეგასწავლით
კომპიუტერზე მუშაობას.
მიიღებთ შესაბამის მოწმობას.
დაგეხმარებით კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვასა და შეძენაში
ფალიაშვილის, 42, (57-ე სკოლა) 11-17 სთ.
ტ. 29-11-78, 17 სთ-დან 29-22-93.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი იძასტამბირიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]